# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№121 (9801) 2024 წლის 23 ოქტომბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


ბიძინა ივანიშვილი:

## სახელმწიფოს არსია, დაიცვას სამშობლო!..



2



დღის ციტატა

ჩვენ რეალური ევროპული ფასეულობების დაფუძნებას და ამ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო გვინდა და არა მოგონილი!..

მწერალი არქიტექტორის შესახებ



ვახტანგ დავითაია

6–7

## სიცინცხალითა და სევდიანობით გამორჩეული დიდოსტატი

## 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას" დავუჭიროთ მხარი!

## საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად!

სახალხო მოძრაობა

საქართველოს აგრარული აღორძინებისათვის

People's Movement for Agrarian Revival of Georgia

№........ "......." ........ 2021



მურმან ქურიძე

3

პროფესიონალი



პეტრე ბერაია

5

## ზღვის მოტრფიალე კანონმდებელი

ირაკლი გოგავა:



4

## გაგანია ომში გვეპატიჟებიან ფიცხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში — სულელი აქ არავინ არის!



ცამდე მართალი

9

## ლაშაობიდან ლაშაობამდე

უნიკალური ბაღი ზღვის უბანში



12

ირაკლი კობახიძე: ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია...

10





## ბიძინა ივანიშვილი:

# სახელმწიფოს არსია, დაიცვას სამშობლო, ჩვენ არავისთვის ვიღვწით, მით უმეტეს, რუსეთისთვის, ჩვენ ვიღვწით საქართველოსთვის!

**...ამ ხალხს ვერაფრით გაუთვითცნობიერებია, რომ საქართველოა ჩვენი სამშობლო, რომ სახელმწიფოს არსია, დაიცვას სამშობლო, იდენტობა და ა.შ. ჩვენ არავისთვის არ ვიღვწით, ჩვენ ვიღვწით საქართველოსთვის, არც დასავლეთისთვის და მით უმეტეს, არც რუსეთისთვის, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ 21 ოქტომბრის საღამოს ეთერში განაცხადა.**

ივანიშვილის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ უამრავი რამ გააკეთა ევროკავშირში გასაწევრებლად და საქართველოს აქვს საოცარი მიღწევები ყველა მიმართულებით, რითიც ჭეშმარიტი ევროპა ფასობს.

**„რამდენი რამ გავაკეთეთ ევროკავშირში შესასვლელად, აღარ ჩამოვთვლი. თვითონ ევროკავშირი რის კავშირია და რის საფუძველზე გახდა საინტერესო? სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებზე, ადამიანის ჰუმანურობაზე, თანაბარი კონკურენცია, ბიზნესის ხელშეუხებლობა, სასამართლო დამოუკიდებლობა – ისეთი მიღწევები გვაქვს ყველა მიმართულებით, მსოფლიოს ქვეყნებს ვედრებით. მე გამოვედი რეიტინგებით, მსოფლიოში ან პირველი ვართ, ან სამეულში შევდივართ, ან ხუთეულში შევდივართ პროგრესით. საოცარი მიღწევები გვაქვს ყველა მიმართულებით, ის რითაც ჭეშმარიტი ევროპა ფასობს, ევროპა ტერიტორია კი არაა, ევროპული ფასეულობებია, ჩვენ ვაჟას შვილიშვილები ვართ, ჩვენთვის ეს უცხო არ არის. ნახეთ ვაჟას ნაწერები და ნახეთ ადამიანის ჰუმანურობაზე და ადამიანის უფლებებზე რამდენი უწერია. სხვათა შორის გავიხსენებ, ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც ირღვევა მეორე ადამიანის უფლებები. როცა ლგბტ პროპაგანდაზე ვსაუბრობდით ჩვენ, ბევრს არ მოსწონს, ქუჩაში ამას ღაღადებენ, უკაცრავად! – იქ დავაბრუნე ნაწილი, ადამიანის უფლებები, მარტო მათ არ აქვთ უფლებები, გვაქვს ჩვენც და სხვასაც, ვინც არ არის ამ საზოგადოების წევრი, ვისაც არ მოსწონს, მაგრამ თავს არ ესხმის და არ იბრძვის მის წინააღმდეგ.**

**დავუბრუნდეთ ევროკავშირის თემას, ჩვენ წაგიყვანთ ევროკავშირში, ამათ მიჰყავხართ რუსეთში, სად ჩანს? ყველა ფასეულობა რაც არის ევროპული, „ქართულმა ოცნებამ“ საოცარი წინსვლა გააკეთა ყველა მიმართულებით. ჩვენ რეალური ევროპული ფასეულობების დაფუძნებას და ამ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო გვინდა და არა მოგონილი. ჩვენ წაგიყვანთო? და რით წაგიყვანენ? გასაგებია, რომ ხედავენ წინააღმდეგობას, მსგავსი გლობალური ძალისგან მართული ბიუროკრატები, იქაც ბევრია, მათ კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთში. რას გვსაყვედურობენ ჩვენ ძირითადად, მადლობა ღმერთს, რომ როგორც იქნა რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ რუსეთი სანქციებს არ შეუერთდა, რაც საქართველოს ეკონომიკას დაანგრევდა. ხაზარაძე გამოდის, რუსეთს სანქციები დავუწესოთო, 1000-ლარიან პენსიას მოგცემთო. 100 ლარს ვერ გადაიხდის, ვინც ეკონომიკა იცის, 100-ლარიან პენსიასაც კი ვერ გადაიხდის, გარწმუნებთ, ეგ სანქციები რომ დავაწესოთ. ასე უსინდისოდ ცრუობს. ევროკავშირში რით შეჰყავთ მათ და რით შეგვყავს ჩვენ – ომსაც დაიწყებდნენ და სანქციებსაც დაუწესებდნენ, აქ არის წინააღმდეგობა. „გამჭვირვალობის კანონსაც“ დააბრუნებდნენ, ლგბტ-ებსაც დააბრუნებდნენ. ეს არის სხვაობა, აი, ამით ბობოქრობენ. ქვეყანა არ უყვართ, უსამშობლოები არიან და ამით იქაჩებიან, რომ ჩვენ აი, ამას ყველაფერს გავუკეთებთ და ჩვენ შეგიყვანთ გრიალით ევროპაში“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

### იმდენად დიდია საზოგადოების რწმენა ქრისტიანობის, ჩვენი ტრადიციების, იდენტობის, რომ ოპოზიციას საზოგადოების შეეშინდა და ვერ გაბედა ამის წინააღმდეგ წასვლა

**გასაგებია, რატომაც არ შევიდა ოპოზიცია პარლამენტში, იმიტომ, რომ წინააღმდეგი ვერ წავიდოდნენ, მათ პატრონები ჰყავთ და თავად არაფერს არ წყვეტენ, აბსოლუტურად მონური დამოკიდებულებაა რომ იცოდეთ, ყველაზე მძიმე ხვედრი აქვთ, მაგრამ მათ ეს მოსწონთ, ეს როლი, რომ რასაც გარედან გეტყვიან, ის უნდა გააკეთო. ამიტომ მოიგონეს რაღაც, ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტს და პარლამენტში არ შევიდა ოპოზიცია, იმიტომ, რომ იმდენად დიდია საზოგადოების რწმენა ქრისტიანობის, ჩვენი ტრადიციების, ჩვენი იდენტობის, რომ საზოგადოების შეეშინდათ და ვერ გაბედეს ამის წინააღმდეგ წასვლა – არ მოაწერა პრეზიდენტმა, ესენი არ შევიდნენ პარლამენტში...**

**„ეს არის ფსევდოლიბერალური იდეოლოგია, რომლის შედეგიც არის ლგბტ პროპაგანდაც. რაც შეეხება ლგბტ საზოგადოებას, უფრო რთულად ითქმის, მაგრამ ვერ ვიმახსოვრებ, იქ ასოებს ამატებენ და უკაცრავად ამ საზოგადოების წინაშე, შეიძლება ზუსტად ვერ გამოვხატავ სახელს, მაგრამ აზრი გასაგებია, „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ საქართველოში როდესაც მიიღეს, მასში არის ჩემი ლომის წილი. „ნაცებმა“ ვერც კი გაბედეს ამ კანონის შემოტანა. მეც არ დაგიმალავთ და ძალიან დიდი მუშაობა დამჭირდა, რომ ეს კანონი გაგვეტანა. რა თქმა უნდა, ეს ხალხი არის ჩვეულებრივი ხალხი, არავითარი პრეტენზია არ შეიძლება ამ ხალხთან გვქონდეს, ისინი საზოგადოების ჩვეულებრივი ნაწილია, გარკვევით მინდა, რომ ვთქვა და ლომის წილი მე მაქვს, რომ „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ მივიღეთ, იმიტომ რომ კანონმდებლობასთან რაღაც დაპირისპირებაში მოდიოდა. მაგრამ პროპაგანდას რაც შეეხება, ბოდიში მომიხდია, საკუთარ სახლში ვისაც რა უნდა ის გააკეთოს, არავინ არ შედის და არავინ არავის არ მისდევს, მაგრამ პროპაგანდამ და აგიტაციამ რაც გამოიწვია, ნახეთ ქვეყნები და არსებობს სტატისტიკა ამის, რამდენჯერ გაიზარდა რიცხვი“...**

**„შედეგი რა არის, რა უნდათ? რატომ მიდის ამხელა პროპაგანდა და რატომ იხარჯება უზარმაზარი თანხები? უზარმაზარი თანხები იხარჯება ამ პროპაგანდაში. მარტივს გეტყვით, ყველაზე დიდი პარადი მე მგონი ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ტარდება, „გეი აღლუმი“ რასაც ჰქვია და ნახეთ კადრები. რასაც ჩვენ გვეუბნებიან – რა მოხდა ქუჩაში გამოვიდნენ, რატომ უშლით ქუჩაში გამოსვლას? ესე იწყება ყველგან და ყველაფერში, ამ მარტივით იწყება. ეს ქუჩაში გამოსვლა ნახეთ ფოტოები, საშინელებები ხდება უკვე იმ ქუჩაში მათი გამოსვლის დროს, ჩვენთვის საშინელებები – ვიღაცისთვის ნორმაა და ნორმად აწესებენ. პატარა ბავშვები მხარზე შემოსმული, 2-3 წლის – ყველანაირი ტიპის ორგია მიდის ქუჩაში. ნორმალურია ეს აგიტაცია? ეს არის ის, რასაც გვეუბნებიან ჩვენ – რა მოხდა ქუჩაში გამოვიდნენ, აი სად მიდის ეს ქუჩის გამოსვლა, ეს ნახეთ რაც შეეხება პარადებს და სხვა დანარჩენი, ნახეთ ქვეყნები, მე ქვეყნებს შეგნებულად არ დავასახელებ, სად მიდის ეს იდეოლოგია. ის, რომ ამბობენ ქალს ქალი აღარ დავუძახოთ და კაცს კაცი აღარ დავუძახოთ, ის, რომ ბაღის 5 წლამდე ბავშვებში მიდის უკვე სექსუალური აღზრდის გაკვეთილები, ის, რომ მაგალითებია ამის რამდენიც გინდათ და ამის მოპოვება რთული არ არის; ის, რომ ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის მასწავლებელი ციხეში მეორედ შეუშვეს, იმის გულისთვის, რომ გამოვიდა და ისევ თქვა პრინციპულად, რომ მხოლოდ ორი სქესი არსებობს – მამრი და მდედრი და არ არსებობს ეს მრავალფეროვნება სექსუალობის და ათასობით არ არსებობს, ისევ შეუშვეს მეორედ ციხეში. აი, აქ მიდის ეს, ნელ-ნელა, რომ დაიწყოთ მარტივი ქუჩის მიტინგი, სადაც გასდით აქ აჰყავთ უკვე, აქ მიდის. ის, რომ მამაკაცების საპირფარეშოებში ჰიგიენურ ხელსახოცებს დებენ, ის, რომ მამაკაცის რძე იგივეა, რაც დედაკაცის. მე არ მინდა ქვეყნებს შევეხო და ცალკეული პიროვნებების განცხადებები გავიხსენო, ძალიან დიდი პოლიტიკოსების. ქალია თუ კაცი, გოგოა თუ ბიჭი არ უნდა თქვა, მიზანი მარტივია – ადამიანმა არ უნდა იცოდეს ქალია თუ კაცი, არათუ ის, რომ ქრისტიანი თუ მუსლიმია, არათუ ის, რომ მას ჰყავდა დავით აღმაშენებელი და მან თავისი ისტორია და იდენტობა უნდა იცოდეს და მრავალჟამიერი იცოდეს – არა, არა, ეს ყველაფერი უნდა გადაიყაროს, მან ისიც კი არ უნდა იცოდეს ქალია თუ კაცი. ეს არის უახლესი იარაღი დაპყრობის, ამ ადამიანს რაც გინდა ის უქენი, არაფრის ხელის გამძრევი არ არის, არაფერს აღარ დაიცავს. აქამდე მიდის ყველაფერი“...**

### ბოდიში თურმე ჩვენ დაზარალებულ თანამოძმეებს — ოსებს და აფხაზებს კი არ მოვუხადეთ, არამედ რუსეთს ვუხდით ბოდიშს — ყველაფერი დაამახინჯეს!!!

**ბოდიშის მოხდა შერიგებისთვის რომ აუცილებელია, არაფერი სიახლე არ არის! თანაც, ბოდიში თურმე ჩვენ დაზარალებულ თანამოძმეებს ოსებს და აფხაზებს კი არ მოვუხადეთ, არამედ, თურმე რუსეთს ვუხდით ბოდიშს. ყველაფერი დაამახინჯეს უბრალო მიზეზის გამო, რომ დაემალათ თავისი დანაშაული. ეს მათი გაკეთებულია, ეს გააკეთა გარკვეულმა ჯგუფმა, კრიმინალურმა დაჯგუფებამ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს.**

ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ის დავალება, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ომის სახით შეასრულა, დღესაც ძალიან აქტუალურია.

**„ის გმირები, ვინც გულწრფელად იომა საქართველოს დასაცავად, ოდნავაც არ კნინდებიან ჩემს თვალში. მე დღესაც თანავუგრძნობ მათ ოჯახებს და დიდი სითბოთი, სიყვარულით მოვიხსენიებ თითოეულს, ოდნავაც არ მინდოდა, რომ მათთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. ისინი გულწრფელად გამოვიდნენ სახელმწიფოს დასაცავად, მაგრამ სახელმწიფოს მეთაური, მთავარსარდალი ვინც იყო და კრიმინალების დაჯგუფება, მათ აომეს იქ იმისთვის, რაც საჭირო არ იყო. თანაც, ის დავალება, რაც მათ შეასრულეს, დღესაც ძალიან აქტუალურია, რადგან ჩვენ ქვეყანა ვერ გავამთლიანოთ. ასეთი დაპირისპირებული, დაკნინებული და დამახინჯებული საზოგადოება ძალიან იოლია, გამოიყენო სადაც გინდა და რაშიც გინდა. გაძლიერებული და მოძლიერებული ყველგან დალაგებული რომ აქვს სიტუაცია, იოლად თავს არ დაგიხრის. ამ ჯგუფს, კონკრეტულად ვინც ჩაიდინა დანაშაული, დაარღვია კანონი და გარედან მიღებული დავალების საფუძველზე საკუთარ ძმებთან აომა ჩვენი ქვეყანა, უნდა მოეთხოვოს პასუხი. გირგვლიანი საქართველომ მოკლა? მათ და მათმა სისტემამ, კრიმინალურმა სისტემამ გააკეთა ეს ყველაფერი, ამ კრიმინალურმა სისტემამ ჩაიდინა ეს ომიც და რა თქმა უნდა შერიგება არ უნდათ“...**

### დასჯამ და სანქცირებამ უკუშედეგი გამოიღო, არ იმუშავა და ვერც იმუშავებს!

**განცხადებები, ძირითადად, შანტაჟის შემცველია და ამის კოორდინაციას აკეთებს, ჩვენ რასაც ვეძახით „გლობალური ომის პარტიას“ – მეპატრონეებს ჩვენი დღევანდელი ოპოზიციის; მე ვფიქრობ, რომ შანტაჟმა არ იმუშავა, პირიქით – მე რასაც ვუყურებ და რეგიონებში დავდივარ, მობილიზებაა უფრო დიდი, საზოგადოებაა გათვითცნობიერებული...**

**„საზოგადოება უფრო ღიზიანდება ასეთი განცხადებებით, რომელიც არაკორექტულია და ძლიან ხშირად, ობიექტურობას სცილდება. ეს არ მუშაობს და ვერ იმუშავა. რისი სურვილიც ჰქონდათ, ჩემი აზრით, ამან პირიქით შედეგი გამოიღო.**

**რაც შეეხება დასჯას და სანქცირებას, ესეც რაც გააკეთეს, მე ვფიქრობ, რომ ამანაც უკუშედეგი გამოიღო და არ იმუშავა, ვერ იმუშავა და ვერც იმუშავებს. იმის იქით ველოდებით თუ არა? – მე პირადად, აღარ ველოდები. მე მგონი, რომ რისი გაკეთებაც შეეძლოთ და რაც უნდოდათ, გააკეთეს, ამოწურეს, არ იმუშავა, მე საზოგადოებას ვეუბნები დარწმუნებით აბსოლუტურად, რამეთუ მთელი დღე 24 საათი ამით ვარ დაკავებული და რეგიონებიც კარგად ვიცი და ქალაქიც – ყველაფერმა ამან გამოიღო უკუშედეგი, ელემენტარული მიზეზის გამო, რამეთუ, ეს იყო არაობიექტურ ინფორმაციაზე დაფუძნებული ყველანაირი ტიპის შანტაჟი.“**

**განსაკუთრებული გარემოა, შემიძლია ამას ხაზი გავუსვა. განსაკუთრებით დაძაბულია – ასე ვერ ვიტყოდი, რამეთუ, პირველადი შეფასება უკვე გააკეთა ეუთო-ოდირმა და საკმაოდ პოზიტიური.**

**საქართველოში სამწუხარო რეალობის შექმნას ცდილობენ გარკვეული**



თანამდებობის პირები და ბიუროკრატები, რომლებიც კოორდინაციაში არიან ოპოზიციასთან, თუმცა, მანვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მმართველ გუნდსა და საზოგადოებას უკვე დიდი გამოცდილება აქვს.

„სამწუხარო რეალობის შექმნას ცდილობენ, მათ რიცხვში, ჩვენი სამეგობროდან გარკვეული თანამდებობის პირები, გარკვეული ბიუროკრატები კოორდინაციაში არიან და კორელაციაში არიან ოპოზიციურ სპექტრთან, მაგრამ, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, თავშივე, რომ ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს უკვე „ქართულ ოცნებას" და ქართველ საზოგადოებას. აი, დეჟავიუ – ძალიან ბევრი რამაა ისეთი, რაც უკვე გვინახავს. დავასწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ არაფერიც არ მოხდება არჩევნების მეორე დღე იქნება ძალიან წყნარი, ოღონდ, ერთ რამეს აქვე გავუსვამ ხაზს, ალბათ, კითხვები შემდგომში გექნებათ და მექნება საშუალება, გავაკეთო ამაზე აქცენტები, რომ ყველა დღეს – ერთი კვირა, ორი კვირა, ერთი თვე, ორი თვე – სანამ ომი არ დასრულდება, შეიძლება პირობითად „მეორე დღე" უწოდო, იმიტომ, რომ იქნება ძალიან დაძაბული ველი, იქნება ძალიან დაძაბული ვითარება გეოპოლიტიკურად და შესაბამისად, გვმართებს ძალიან დიდი სიფრთხილე.".

ლიბერალური იდეოლოგია, რომელსაც ჩვენ ფსევდოლიბერალურს ვეძახით, უფრო უხეშ და უფრო სწორ ტერმინებსაც იყენებენ ჩემი თანაგუნდელები და მას ლიბერალურ ფაშიზმსაც უწოდებენ; მე უფრო ტერმინს ფსევდოლიბერალურს გამოვიყენებ, ზოგადად, მისი საფუძველი არის ის, რომ საზოგადოებას ვირტუალური რეალობა და რეალობა გაუთანაბროს. ვირტუალური რეალობა რეალობად მოაჩვენოს.

„შეიძლება, რეალობასთან საერთოდ არაფერი კავშირი არ ჰქონდეს, მაგრამ, მთავარია, როგორ მიაწვდი, რამდენად ხშირად, რამდენად კარგი აქცენტებით და ამ ვირტუალურ რეალობაში მოიყვან, როგორც რეალობაში, საზოგადოებას. აი ეს განცხადებები რაც ისმის, სწორედ ამ კონტექსტიდან არის ამოღებული, რომ საქართველო არის ავტორიტარული, რომ დემოკრატია საქართველოში იხევს უკან, რომ საქართველო შორდება ევროპას – ხომ ამ ტიპის განცხადებებია მუდამ? ამავდროულად, იგივე ხალხი და იგივე საზოგადოება, ვინც დღეს გვაკრიტიკებს, დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ საქართველოს „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს.

რასაც მაშინ ცდილობდნენ, რომ ეს არის დემოკრატია, რომ ომი არის მშვიდობა, რომ გაუნათლებლობაში არის ძალა – დაახლოებით, ამ ტერმინებით ცდილობენ საზოგადოების გაჯერებას და ავიწყდებათ ერთი რამ, რომ საქართველოში არის რეალური დემოკრატია და არა ის დემოკრატია, რასაც ჩვენ გვიხატავდნენ აქ და დემოკრატიად გვაჩვენებდნენ, მაშინ, როდესაც მთელი მედია იყო მონოპოლიზებული, განსხვავებულ აზრს ვერ გაიგებდი. ის ფსევდომედია, რაც იყო, პრინციპში, ის თამაშობდა რაღაც როლს, მაგრამ არა პრინციპულს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მედიის მონოპოლიზება ხდება, ძალიან სახიფათოა."

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, დღევანდელი ლიბერალური იდეოლოგიის დამფუძნებლები მედიის ტოტალურ მონოპოლიზებას ახერხებენ, როგორც ეს თავის დროზე საქართველოში მოახერხეს. ივანიშვილის განმარტებით, როცა განსხვავებული, კრიტიკული აზრი არ ისმის, მარტივია, საზოგადოება დააჯერო ვირტუალურ რეალობაში, რაც საქართველოში ვერ იმუშავებს, ვინაიდან ქვეყანაში რეალური დემოკრატიაა.

„იდეოლოგია რასაც ლიბერალურს უწოდებენ დღეს ლიბერალები, საკმაოდ არა, ვიტყოდი, ძალიან სახიფათოა და ის იდეოლოგები, ვინც არიან ამის დამფუძნებლები, პარალელურად, რა თქმა უნდა, ახერხებენ, როგორც საქართველოში მოახერხეს, ისე ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, მედიის ტოტალურ მონოპოლიზებას – განსხვავებული აზრი არ ისმის, კრიტიკული აზრი არ ისმის, შესაბამისად, ძალიან ხშირად, საზოგადოებას აცხოვრებენ ვირტუალურ რეალობაში და ჰგონიათ, რომ ესაა რეალობა. ამის მცდელობა საქართველოში არ იმუშავებს და ეს ვერ გაუგიათ.

ჩვენ გვაქვს რეალური დემოკრატია, აბა ნახეთ, რამდენი ტელევიზიაა? თუნდაც, რამდენს გახსნიან ხვალვე – ეს არ არის ის დრო, რა დროც იყო, გახსოვთ ხომ, თეფშები როგორ დაგვიყადაღეს და როგორ გვიკრძალავდნენ, რომ როგორმე დამოუკიდებელი ინფორმაცია გვქონოდა, საინფორმაციო წყარო გვქონოდა."

## ამერიკა სულ იყო პრიორიტეტული ჩვენთვის!

იმედი მაქვს, რომ ომის დასრულების პარალელურად აუცილებლად მოვახერხებთ, უაღრესად რთული და არასასურველი დამოკიდებულებები შევცვალოთ უფრო პოზიტიურით!

„ჩვენ არ გვქონია ომამდე პრობლემები. ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ ომი რამდენიმე თვეში, შეიძლება ამ წლის ბოლოსაც დასრულდეს. როდესაც სინგაპურში სასამართლო მოვიგეთ და ამის აღსრულებას ხელი ვეღარ შეუშალა კრედიტ სუისმა, მე მყისიერად, წინა კვირაში უკვე დავურეკე ამერიკის ელჩს, გვქონდა კომუნიკაცია და ვთხოვე შეხვედრა და ვთქვი, რომ ის მიზეზები, რაც იყო რეალურად თავისით გადაწყდა, შესაბამისად ჩემგან პრობლემა აღარ არის და მე მზად ვარ შესახვედრად. იქიდანაც რეაქცია იყო ძალიან ჯანსაღი, ამის სურვილი არსებობს და ჩვენ არჩევნების შემდგომ ვაპირებთ შეხვედრას, უკვე მოვილაპარაკეთ ამაზე. მე მაქვს იმედი იმის, რომ არა ერთი შეხვედრით და არა მყისიერად, მაგრამ დროში ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ, მაგრამ ორმხრივი უნდა იყოს სურვილი. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი უნდა განვიხილოთ დინამიკაში. არჩევნები ამერიკაშიც დასასრულებელია, ევროპაშიც ახლა დასრულდა და ლაგდება, ბოლომდე არ დალაგებულა კიდევ ბიუროკრატია, იმედია, თანხვედრაში იქნება ომის დასრულება და ომის დასრულების შემდგომ სიტუაცია მგონი დაუბრუნდება პირვანდელს".

რაც შეეხება როდის და რაზე იქნება დამოკიდებული ურთიერთობის გადატვირთვა, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ამას სჭირდება ორმხრივი დამოკიდებულება და მარტო საქართველო ამას ვერ იზამს.

„რა თქმა უნდა, პრობლემები სულ იყო და პოლიტიკაში მოსვლის დღიდან სულ იყო ინტერესებში განსხვავება, არა ასპროცენტიანი თანხვედრა, მაგრამ ასეთი მსგავსი არ ყოფილა და საზოგადოებასაც არ ახსოვს, ეს დაძაბულობა გარეთ გამოვიდა და ყველა ხედავს ამას. ამერიკა სულ იყო პრიორიტეტული ჩვენთვის. ამას თუნდაც ჩვენი გუნდის ყოფილი წევრები, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან, ისინი კარგად გაიხსენებენ ჩემს დამოკიდებულებას. მე მქონდა ბიზნესთან შეხვედრა და მათ ეგონათ, რომ მე საოცრად ხისტი დამოკიდებულებები მაქვს, არა, ღმერთმა დამიფაროს. ჩვენ, ქართველებს, ძალიან გენეტიკური გამოცდილება გვაქვს, ძალიან რთულ რეგიონში ვცხოვრობდით და ვიცით, ძალას ანგარიში როგორ უნდა გავუწიოთ, მაგრამ ისე არა, რომ ქვეყანა დავანგრიოთ და დავშალოთ, ამ ფონზე ასე არ გამოვა.

მცდელობები ჩვენ გვქონდა და მე ამით გამოვირჩეოდი, კიდევ გავიმეორებ, გუნდის ყოფილ წევრებს ეს შეუძლიათ კარგად გადაამოწმონ და გაიხსენონ, და იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ომის დასრულების პარალელურად და პროცესში ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ უაღრესად რთული და არასასურველი დამოკიდებულებები შევცვალოთ უფრო პოზიტიურად. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეიფორია ნუ გვექნება, ამას სჭირდება ორმხრივი დამოკიდებულება, მარტო საქართველო ამას ვერ იზამს და ამავდროულად ჩვენი ოცნება და სურვილი რეალობასთან თანხვედრაში უნდა მოვიდეს და დასრულდეს ეს ომი, რისი იმედიც ძალიან დიდია, რომ წლის ბოლომდე შეიძლება დასრულდეს, ან გაზაფხულზე დასრულდეს, აი ასეთი იმედები არსებობს და ჩვენც მცდელობას არ დავაკლებთ, რომ როგორმე დავლაგდეთ"!..

ესაუბრა
**მაგდა ანიკაშვილი**
„იმედი", 21.X.2024.




სახალხო მოძრაობა
საქართველოს აგრარული აღორძინებისათვის
№........ "......." ........ 2021
People's Movement for Agrarian Revival of Georgia

# საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად!

**დღესდღეობით საქართველოსთვის, ტრადიციულად აგრარული ქვეყნისთვის, სადაც სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სისტემური კრიზისია, პირველი რიგის ამოცანა რომ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი ჯანმრთელობის დაცვა, მიგრაციის შეჩერება და ემიგრანტთა დაბრუნების სტიმულირება უნდა იყოს, მადლობა ღმერთს, სადავო არ არის.**

საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის, შემდგომში გაფართოებული ა(ა)იპ „სახალხო მოძრაობა – საქართველოს აგრარული აღორძინებისთვის მიერ, რომელიც დაფუძნებულია ძირითადად სოფლის მეურნეობის პროფილის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკთა, დარგის მოწინავე მეცნიერთა, ექსპერტთა, პროფესიონალ-პრაქტიკოსთა, ფერმერთა, მწარმოებელთა და ეკონომისტთა სამივე თაობის წარმომადგენლის მიერ, შემუშავებულ იქნა საქართველოს აგრარული აღორძინების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის კომპლექსურ განვითარებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. ვაცნობიერებთ, რომ დღესდღეობით მოხმარებული სასურსათო პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი იმპორტირებულია, რაც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. ეს მაშინ, როდესაც გაეროს მიერ დადგენილია, რომ იმ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგას, სადაც მოხმარებული სურსათის 20 პროცენტი იმპორტულია, საუბედუროდ, ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ხელსაყრელი ბიოგეოკლიმატური პირობები, მეურნეობრიობის ტრადიციები და ინტელექტუალური პოტენციალი, რათა ქართველი და უცხოელი მეცნიერების შექმნილი ახალი ჯიშებით და ინოვაციური ტექნოლოგიების, გონივრული მენეჯმენტის გამოყენებით არამარტო დააკმაყოფილოს საკუთარი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ეროვნული წარმოების, ბიოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტით, არამედ უზრუნველყოს მისი ექსპორტიც. ამის კარგ მაგალითს იძლევა **ნიდერლანდები,** რომელიც მსოფლიოში აგრარული პროდუქციის უმსხვილესი ექსპორტიორია. სახალხო მოძრაობის მიზნები და ამოცანები საჯაროდაა ცნობილი მასმედიისა და სოციალური ქსელებით და მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს.

ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამა-მოდელის მიხედვით (დეპონირებულია „საქპატენტში", მოწმობა N8161, 24.09.2021) **საქართველოს აგრარული აღორძინება** (სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული დარგების კომპლექსური განვითარება) განხილული უნდა იქნეს, როგორც **ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ამოცანა,** რომლის განხორციელების შედეგად მიიღწევა უმთავრესი მიზნები: სოფლის აღორძინება, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციით თვითუზრუნველყოფა, მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება, ქალაქსა და სოფელში ცხოვრების ხარისხის დაახლოება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და, რაც მთავარია, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

ჩვენი ქვეყნის აგრარული დარგის სისტემური და სტრუქტურული რეფორმით, მნიშვნელოვანი სუბსიდირებით, ხელსაყრელი ბიოგეოაგრო კლიმატური პირობების, მდიდარი ტრადიციის, ინტელექტუალური პოტენციალის და რესურსების გონივრული გამოყენებით შესაძლებელია დასახული მიზნების განსახორციელებლად **საქართველო ვაქციოთ განვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად.**

**ბატონებო! გარწმუნებთ,** რომ განსაკუთრებით სოფლად მოსახლეობა მმართველი გუნდის მხრიდან ელის ახალ ინიციატივებს და სიახლეებს, გვინდა, საქართველოსთვის ამ მძიმე ვითარებაში დავდგეთ ისტორიის სწორ მხარეს და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ქვეყნის ხელსაყრელი ბიოგეოკლიმატური ქვეყნის ხელსაყრელი ბიოგეოაგრო კლიმატური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას, სოფლად სამუშაო ადგილების შექმნას, ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებას.

გვახსოვდეს, აგრარული აღორძინება საქართველოს იდენტობის შენარჩუნების ძირითადი პირობაა!

ჩვენ მიერ შემუშავებულ აგრარული აღორძინების პროგრამა-მოდელს „ქართული ოცნების" ხელმძღვანელობა მხარს უჭერს.

„ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი წინა საარჩევნო პროგრესული საშინაო და საგარეო პოლიტიკის იმედით ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ!

**ა(ა)იპ სახალხო მოძრაობა – „საქართველოს აგრარული აღორძინების" თავმჯდომარე**

**მურმან ძურიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი;**

**გოჩა ცოფურაშვილი,**
**თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;**

**ირაკლი გოგავა,**
**თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი;**

**შოთა მაჭარაშვილი,**
**ჟურნალი „აგრარული საქართველოს" მთავარი რედაქტორი**

**გია (გივი) სულაქველიძე,**
**გენერალური მდივანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

საქართველოს რესპუბლიკა

მძიმე ჟამი

№121. ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 2024 წელი



# ირაკლი გოგავა: გაგანია ომში გვეპატიჟებიან ფიჩხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში — სულელი აქ არავინ არის!

**საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა აცხადებს, რომ მეორე ფრონტის გახსნის საკითხი კვლავ აქტუალურია, რადგან დასავლეთის გეგმამ, რუსეთისთვის სტრატეგიული მარცხის მიყენების შესახებ, არ იმუშავა. გათვლები, რომელიც ჰქონდათ, არ ეფუძნებოდა რეალურ მონაცემებს. სანქციებმა კი, მისი თქმით, უკუეფექტი გამოიწვია – რუსეთის ეკონომიკა გაძლიერდა და გაიზარდა. გოგავას შეფასებით, ასეთი ომის გეგმაში გვეპატიჟებიან ფიჩხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში. for.ge ირაკლი გოგავას.**

***– ბატონო ირაკლი, 26 ოქტომბერს არჩევნებია. როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო გარემოს?***

**ირაკლი გოგავა:** ქვეყანა და ხალხი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ბავშვები სკოლაში დადიან, დიდ ქალაქებში საცობებია, სოფლად მოსავალს აბინავებენ, სტუდენტები უნივერსიტეტებში დადიან, თეატრებსა და მუზეუმებში ხალხმრავლობაა, ტურისტები ჩამოდიან, ვაჭრობა და წარმოება იზრდება – ნორმალური აქტიური ცხოვრება მიდის. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით და ჩვენი არაკომპეტენტურობით და ზოგ შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების ღალატით ეკონომიკა უკვე 30 წელია არასწორი მოდელით ვითარდება, ის მაინც იზრდება, ხალხი ეკონომიკას თავად ავითარებს – ქართველები კრეატიული და ნიჭიერი ხალხია.

ხელისუფლება ამას ხელს არ უშლის, არ რეკეტიორობს და ბიზნესს არ ატერორებს. რაც მთავარია, 2012 წლიდან მშვიდობაა და ამან მოიტანა დიდი შედეგი: ოფიციალურად ეკონომიკა წელს 90 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომლის კვლევის მიხედვით ქართული ეკონომიკის 45% „ჩრდილშია“, გამოდის, რომ რეალური ეკონომიკა 130 მილიარდი ლარი იქნება.

ეს კი ერთს სულ მოსახლეზე 12,900 დოლარი გამოდის, ხოლო მსყიდველობითუნარიანობით მინიმუმ ორჯერ მეტი. ეს კარგი შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ დაახლოებით 4500 დოლარი იყო. ამ ზრდის ნაწილი ინფლაციაა ანუ ფასების მატება, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი ეკონომიკის რეალური ზრდაა.

დაძაბულობა და პოლარიზება მხოლოდ ციფრულ ტელეყუთშია, სადაც ეს ხელოვნურად ხდება, თანაც ორივე მხარის მიერ ხმების მაქსიმალური მობილიზებისთვის. ტელევიზორს უკვე 16 წელია არ ვუყურებ, ამდენად გონება არ მაქვს ამღვრეული მდარე ხარისხის პოლიტიკური შოუებით და იდეოლოგიური პროპაგანდით, მკითხველსაც იგივეს ვურჩევ. ქვეყნის შიგნით წინასაარჩევნო გარემო რეალურად მშვიდია, მაგრამ უცხოეთიდან გამწვავების დაკვეთა იქნება და აგენტურაც აბობოქრდება. აქ ხომ ე.წ. ოპოზიციის ძირითადი ნაწილი ის ხალხია, ვინც უცხო ქვეყნების სამსახურშია, იქიდან ფინანსდება. გვესმის, რომ ნებისმიერ ფულს ვალდებულება მოყვება.

დაახლოებით 20,000 ადამიანამდე უცხოეთის ჯამაგირზეა, დაფინანსებას რეგულარულად იღებენ. ამ ხალხის ფსიქოლოგია იმ ტვინნაღრძობმა გააჟღერა: „დასავლეთი თუ გვეტყვის, ცალ ფეხზე უნდა დავდგეთო“. ჰოდა, დგანან და ელოდებიან დავალებებს! ეს მონური ფსიქოლოგიაა. არავის მსახურება და მონობა ჩვენ არ წაგვადგება: არც ბრიუსელის, არც ვაშინგტონის, არც მოსკოვის და არც პეკინის. ჩვენ ჩვენი სუვერენული განვითარების გზით უნდა წავიდეთ. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ივანიშვილმა ანტიკოლონიალური ამბოხება გამოაცხადა და ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის მოსაპოვებლად ბრძოლა წამოიწყო.

***– თქვენ ახსენეთ, რომ ივანიშვილმა გამოაცხადა ანტიკოლონიალური ამბოხება და ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტისთვის ბრძოლა დაიწყო. ფიქრობთ, რომ საქართველო კოლონიაა?***

– დიახ, კოლონიაა და აგიხსნით რატომ? 2003 წლიდან საქართველო სრულ გარე მართვაზე იმყოფებოდა. საკადრო პოლიტიკას



უცხოეთი უძღვება. ნებისმიერი თანამდებობის პირი მათთან თანხმდება. პოლიტიკურ ველზე თითქმის არ არის ფიგურა, რომელიც დასავლეთის გარეშეა იქ მოხვედრილი. ეს ამ ხელისუფლების პირობებშიც გრძელდებოდა ცნობილი „შარლ მიშელის შეთანხმების“ ჩაშლამდე. ანუ ქვეყანას არ ჰქონდა დამოუკიდებელი პოლიტიკური მართვის შესაძლებლობა – ეს კი კოლონიის პირველი ნიშანია.

ეკონომიკა მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის მიერ იმართება. ჩვენ აკრძალული გვაქვს მრეწველობის განვითარება და იაფი კრედიტების გაცემა. უცხოელი უფრო პრივილეგირებულია ჩვენთან, ვიდრე ადგილობრივი. ნახეთ საერთაშორისო ორგანიზაციები, კომპანიები: უცხოელს ყოველთვის მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე ადგილობრივს – თანაც რამდენჯერმე.

კოლონიის კიდევ ერთი მახასიათებელი ის არის, რომ ხდება ბუნებრივი რესურსების და შრომითი რესურსების ექსპლუატაცია. ჩვენგან გააქვთ: ოქრო, სპილენძი, რკინა, ფერადი ლითონები, ხე-ტყე, მარგანეცი, დიატომიტი, ხოლო ჩვენი ხალხი მიჰყავთ და მესამედ ფასში ამუშავებენ თავის ეკონომიკაში. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ერთი ადამიანი სიცოცხლის მანძილზე 1 მილიონი დოლარის ეკონომიკას ქმნის. ევროპაში 400,000-ზე მეტი ქართველი მუშაობს დღეს.

ექსპლუატაცია ხდება ჩვენი სატრანზიტო პოტენციალის, სადაც საერთაშორისო ტარიფებზე გაცილებით იაფად გადის თხევადი თუ მყარი ტვირთები ჩვენს ტერიტორიაზე. თურქეთმა 2021 წელს მოამატებინა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენზე ტრანზიტის საფასური ბრიტიშ პეტროლიუმს და კონსორციუმს. ჩვენთან ამ საკითხზე სიჩუმეა. გაგვიჩერეს მსოფლიო მნიშვნელობის დარგები: ჩაის მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, მეაბრეშუმეობა, გემთმშენებლობა, კვების მრეწველობა და ბევრი სხვა.

1988 წელს საქართველო 970 მილიონ პირობით ქილა კონსერვს უშვებდა. კაპიკი არ მოგვცეს, რომ შეგვენარჩუნებინა ნაწილი მაინც, დაელოდნენ სანამ გაჩანაგდებოდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კვების მრეწველობის სექტორი და ის დანადგარები ჯართში იაფად ჩაიბარეს, გადაადნეს და შემდეგ მზა სამრეწველო პროდუქტი ჩვენივე მეტალისგან დამზადებული მამასისხლად მოგვყიდეს. გვაიძულეს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შემოღება, რაც ადგილობრივ მწარმოებელს სრულიად დაუცველს ტოვებს და მრეწველობა ვეღარ ვითარდება.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მდიდარ და ღარიბ ქვეყანას შორის ღარიბი ქვეყნის კიდევ უფრო გაღარიბებას ემსახურება – ეს არის აქსიომა. საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოველთვის უფასოდ ჰქონდათ ჩვენი ხმა მათთვის სასურველ გადაწყვეტილებებზე თუ რეზოლუციებზე. ჩვენი ჯარისკაცები ორი ათეული წელი ჰყავდათ ავღანეთის, ერაყის, ცენტრალური აფრიკის და კოსოვოს ოპერაციებში. მხოლოდ ავღანეთში 17 წელი საშუალოდ 1200 ქართველო ჯარისკაცი იყო.

ამერიკული კვლევა არსებობს, რომლის მიხედვით ერთი ამერიკელი ჯარისკაცის შენახვა ავღანეთში წელიწადში 1,300,000 დოლარი უჯდებოდათ. გამოდის, რომ ჩვენი ჯარისკაცების იქ ყოფნით მინიმუმ 20 მილიარდი დოლარის ეკონომია გააკეთეს. ეს მხოლოდ ავღანეთი, დანარჩენი ცალკე დასათვლელია.

2008 წლის ომი ცალკე აღნიშვნის ღირსია – მათ გარეშე ეგეც არ მოხდებოდა. რაც დღეს უკრაინაში ხდება, ეგ ჰქონდათ დაგეგმილი აქ, ჩვენთან. 100,000-იან რეზერვს მაგიტომ ამზადებდნენ, რომ პარტიზანული ომები გვეწარმოებინა თვეების და წლების მანძილზე.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და გაგვიმართლა, რომ სააკაშვილი მხდალი აღმოჩნდა. ახლა საქართველოსგან მხოლოდ ნანგრევები იქნებოდა, მოსახლეობა კი მაქსიმუმ 2 მილიონი და სახელმწიფოც არ გვექნებოდა. სააკაშვილის დროს ქვეყანა 100%-იან გარე მართვაზე იყო და ეს ომიც გარედან იგეგმებოდა. გამოაქვეყნოს ფინანსთა სამინისტრომ, რამდენი გვაქვს საგარეო ვალი აღებული და რამდენია გადახდილი პროცენტებში. კატასტროფა ციფრებია, გარწმუნებთ.

უცხოური ფულით აშენებული ერთი საწარმო გინახავთ? ვერც ნახავთ, არ აწყობთ, კონკურენტს ხომ არ გაიჩენენ?! მსოფლიოში თითქმის ყველაფრის ჭარბწარმოებაა და არავის სჭირდება კონკურენტი. პრევენციულად მუშაობენ და ისე ალაგებენ ყველაფერს, რომ აქ წარმოებას აზრი არ ჰქონდეს. გაგიგიათ უცხოელებისგან, რომ დენის, წყლის, გაზის ტარიფი ბიზნესისთვის დააკელითო? პირიქით, გაზრდას ითხოვენ. ეს იმიტომ, რომ არ იყოს რენტაბელური წარმოების გამართვა. იგივეა სოფლის მეურნეობაში.

***– ფიქრობთ, რომ მეორე ფრონტის გახსნის საკითხი კვლავ აქტუალურია?***

– დასავლეთის გეგმამ რუსეთისთვის სტრატეგიული მარცხის მიყენების შესახებ არ იმუშავა. გათვლები, რომელიც ჰქონდათ, არ ეფუძნებოდა რეალურ მონაცემებს. სანქციებმა კი უკუეფექტი გამოიწვია – რუსეთის ეკონომიკა გაძლიერდა და გაიზარდა. ასეთი ომის გეგმაში გვეპატიჟებიან ფიჩხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში. სულელი აქ არავინ არის. 2022 წლის მარტიდან მთავარი, რასაც სთხოვენ ივანიშვილს, რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვაა. ეს მან ღიად განაცხადა და პრემიერმაც ამის შესახებ არაერთხელ ისაუბრა.

როცა ჩვენი მხარე მათ ეუბნება, რომ დაგვბომბავენ, ხალხი დაიღუპება, გაგვანადგურებენ, ეკონომიკას დააქცევენ, ისინი პასუხობენ: არაუშავს აღვადგენთო. ხალხი რომ დაიღუპება, ეს მათთვის მხოლოდ სტატისტიკაა. მიაჩნიათ, რომ საქართველომ „საერთო საქმისთვის“ 200,000 კაცი მსხვერპლად რომ შეწიროს, პრობლემა არ არის. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, ამხელა მსხვერპლის გაღების არც სურვილი გვაქვს და არც საშუალება! 2008 წელს როცა გვაომეს, მერე 2 მილიარდი მოგვცეს და კიდევ 2 მილიარდი სესხად.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## კვირის ციტატები

## ბოდვა ისეთი უნდა!..

### შალვა პაპუაშვილი: მადლობა ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას, ამ განცხადებას რომ არ შეუერთდა!



**„საქართველო განვითარების მნიშვნელოვან პერიოდს გადის. ქართულ პოლიტიკაში ნელა, მტკივნეულად, მაგრამ მაინც მკვიდრდება ისეთი აუცილებელი პრინციპი, როგორიცაა პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვებზე, ქმედებებზე, მოწოდებებზე ხალხის და ქვეყნის წინაშე. სიტყვების ჰაერში სროლა მარტივია, სიტყვებით გამოწვეულ ტყვიების სროლაზე პასუხისმგებლობას კი ყველა ემალება. უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგი საქართველოს მოსახლეობამ უკვე ნახა 1990-იან წლებში, 2008 წელს და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენჯერ.**

ყველამ შინ და გარეთ უნდა გაიაზროს და აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს მათმა მოწოდებებმა, რეზოლუციებმა, განცხადებებმა. მადლობა ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას, რომელიც პასუხისმგებლობით მოეკიდა საკუთარ როლს და არ შეუერთდა ამ განცხადებას. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტს, რომელიც ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე გავლენის მოხდენით საქართველოს არჩევნებში ჩარევაა, ევროკავშირის წევრების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.

რაც არ მოგწონს მოლდოვაში, არ შეიძლება თავად გააკეთო საქართველოში. რაც შეეხება „ბოდვას“. ბოდვა ისეთი უნდა, წამების სისტემის შემქმნელი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას და რუსეთისთვის ორმხრივი სანქციების დაწესებას რომ მოსთხოვ საქართველოს!..“

საქართველოს რესპუბლიკა

# ზღვის მოტრფიალე კანონმდებელი

**ადამიანის ცხოვრებაში 78 წელი ის სიმაღლეა, საიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზის აღმართ-დაღმართები, ნებსით თუ უნებლიეთ შექმნილი წინააღმდეგობების გადალახვის სირთულეები, ავიც, კარგიც, ილუზიებიც, რეალობაც. საბედნიეროდ, ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის იყვნენ და, ბუნებრივია, დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც წელთა სიმრავლეს არ ეპუებიან, თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ჩვეული ღირსებით შრომობენ და საზოგადოების ნდობას იმსახურებენ.**

ასეთ გამორჩეულ ადამიანებს განეკუთვნება პეტრე ბერაია.

მისი, როგორც მეცნიერის, ხელმძღვანელის, პოლიტიკოსის, მეზღვაურის ცხოვრება მრავალმხრივობით იპყრობს ყურადღებას. განსაკუთრებით ძლიერია მისი ცნობიერების საწყისი – კაცთმოყვარეობა! აქედან იღებს სათავეს დანარჩენი თვისება-ღირსებანი: შრომისმოყვარეობა, მაღალი შინაგანი კულტურა, ზნეობრივი პასუხისმგებლობა საზოგადოების, ქალაქის და ქვეყნის წინაშე.

ასევე უნდა აღინიშნოს ბატონი პეტრეს დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებები – საკუთარი რწმენისა და პრინციპების ერთგულება, ხალხის უანგარო სამსახური, სამართლიანობა და პრინციპულობა. ის პრობლემებთან ჭიდილში მუდამ გამარჯვებული გამოდის, რაშიც ძალიან ეხმარება შეუბღალავი ავტორიტეტი და ნებისმიერ ვითარებაში გაბედული ქმედების უნარი.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი პეტრე ბერაია, ქ. ფოთის და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქ. ლანგრაჟეს საპატიო მოქალაქეა. ის იყო ფოთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის საპატიო პრეზიდენტი, საზოგადოება „კუს ტბის" გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე.

პეტრე ბერაია დაიბადა ქ. ფოთში 1946 წლის 24 ოქტომბერს, დაამთავრა ოდესის საზღვაო-საინჟინრო ინსტიტუტი საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერ-ეკონომისტისა და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ინჟინრის სპეციალობები, მისი მოღვაწეობის გზა ყველა პერიოდში უშუალო კავშირშია საზღვაო საქმესთან, რომელიც მან განვლო რიგითი მეზღვაურიდან, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსამდე და ქალაქის ხელმძღვანელობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ნავსადგურის მეზღვაურად, სამუშაოთა მწარმოებლად, უფროს სამუშაოთა მწარმოებლად, საზღვაო სანაოსნოს შორეული ცურვის გემებზე კაპიტნის პირველ თანაშემწედ, ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად, ქ. ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე, შემდეგ პირველ მდივნად.

პეტრე ბერაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ფოთში ექსპლუატაციაში შევიდა საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი, რომელიც დღესაც ნავსადგურის ყველაზე უფრო მდგრადი, ეკონომიკურად მომგებიანი მთავარი ტერმინალია.

ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში პირადად მისი თაოსნობით წარიმართა „კუნძულის" სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქალაქში გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა. კეთილმოეწყო ორი კილომეტრის სიგრძის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, საზღვაო სანაპირო, ასევე 9 აპრილისა და სხვა სანაპირო ხეივნები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ ქალაქს. პირველად გაშენდა 2 დახურული საცურაო აუზი, რომლებიც 1991 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, განადგურდა... მოეწყო განათება ქალაქის სტადიონზე, რაც ძალიან ახარებდა ფეხბურთის გულშემატკივრებს; საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე გაკეთდა 20-მდე სპორტული მოედანი. შეიქმნა ახალი საჭადრაკო კლუბი „ნანა", სამხატვრო-საგამოფენო დარბაზი, სრულიად ახალი სახე მიეცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, კეთილმოეწყო საზღვაო ნავსადგურის სამგზავრო



პეტრე ბერაია. – ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი. 1985 წ.

ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია და ვაგზალი ქალაქის სავიზიტო ბარათი გახდა...

სამწუხაროდ, დღეისთვის ის გაყიდულია. იმედია, გადაიხედება ეს საკითხი და ისევ დაუბრუნდება ქალაქს...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თვით საზღვაო ვაგზლის უიშვიათესი ნაგებობა. ეს იყო და დღესაც არის ლამაზი არქიტექტურული შენობა, რომლის ანალოგი შავი ზღვის ნავსადგურებში არ დგას!

✦ ✦ ✦

**1995 და 1999-2002 წლებში** პეტრე ბერაია ქალაქის მოსახლეობის რჩეული იყო ორი მოწვევის საქართველოს პარლამენტში, როგორც ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი. ის გახლდათ საქართველოს პარლამენტის ბიუროს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატების საპარლამენტო ფრაქცია „იმედი"-ს თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის ხელშემწყობი დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრი, შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, დიდ ბრიტანეთში საქართველოს მუდმივმოქმედი და საპარლამენტთაშორისო დელეგაციის წევრი.

პეტრე ბერაია 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემებია განხილული.

მან პირადად ჩამოაყალიბა საქართველოს პარლამენტის საზღვაო საკითხთა ქვეკომიტეტი. მისი ხელმძღვანელობით მიიღეს „საქართველოს საზღვაო კოდექსი", რომელიც ითვლება საზღვაო კონსტიტუციად. აგრეთვე, საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ", „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ", „საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ". ფაქტობრივად, ქვეყანაში პირველად შეიქმნა საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც აისახა საზღვაო საერთაშორისო სამეცნიერო ეკონომიკურ-სამართლებრივი, სამეურნეო საქმიანობის ყველა სპეციფიკური საკითხი. დღეისთვის ბატონ პეტრეს, როგორც საზღვაო დარგის სპეციალისტს, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესად მიაჩნია საქართველოს სატრანსპორტო, შუა დერეფნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ასევე კასპიის ზღვის ნავსადგურების ტექნიკურად გადაიარაღება, რათა სატრანსპორტო დერეფნებმა მთლიანობაში არა მხოლოდ 28 მლნ. არამედ 50 მლნ ტონაზე მეტი ტვირთი გაატარონ. ეს უდიდესი მიღწევა იქნება ყველა ქვეყნისთვის.

✦ ✦ ✦

**1995 წელს მან ორგანიზება გაუკეთა ფოთის ნავსადგურიდან სამგზავრო, სატვირთო, საზღვაო ბორნით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გასვლას, სადაც პირველად ჩატარდა პარლამენტის ბიუროს გაფართოებული გამსვლელი სხდომა, რომელმაც განიხილა ფოთის ეკონომიკური განვითარების პრობლემები.**

**ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული პარლამენტიზმის ისტორიაში. შედეგად საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ახალი მუხლი, და ქ. ფოთს დაუკანონდა სანავსადგურო მოსაკრებელი, რომლითაც ქალაქის ბიუჯეტი 1997 წლიდან მოყოლებული 2003 წლამდე დამატებით ღებულობდა ყოველწლიურად 2 მლნ ლარს, ეს თანხა ხმარდებოდა საზღვაო ქალაქის სოციალური პრობლემების მოგვარებას.**

✦ ✦ ✦

**პეტრე ბერაია** 2021 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო-საორგანიზაციო დეპარტამენტში, შავი ზღვის საერთაშორისო სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზღვაო სანაპირო ზოლის, სანავსადგურო აკვატორიების საკითხების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელად, მისი უშუალო ავტორობით დაიწერა და გამოიცა ნაშრომი, „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ და დამოუკიდებლობის პერიოდში", ხოლო მისი მთავარი რედაქტორობით გამოიცა „საქართველოს შავი ზღვის დე ფაქტო სანაპირო ზოლის პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები".

✦ ✦ ✦

**პეტრე ბერაია** საზღვაო ტრანსპორტისა და ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

პეტრე ბერაია ღვინობისთვეში დაბადებული კაცია, დიდი გამოცდილებით და წარსულით. სიჭარმაგის წლები შემოჰპარვია ცხოვრებაში, რომელსაც საერთოდ ვერ გრძნობს – ისევ მხნე, რწმენით სავსე, შემართული და ზღვასავით ძლიერია...

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ, ბატონო პეტრე! ამინ!

**უახლოესი მეგობრები**

# რეაბილიტირებული სკოლები ლანჩხუთსა და მარტვილში

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ლანჩხუთის პირველ საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.**

უწყების პრესსამსახურის ცნობით, ახლად რეაბილიტირებული სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ, სახელმწიფო რწმუნებულთან გურიის მხარეში გიორგი ურუშაძესთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერ ალექსანდრე სარიშვილთან ერთად, გახსნა.



800 მოსწავლეზე გათვლილი ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 8 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

„სკოლაში სასწავლო სივრცეებთან ერთად ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურს-ოთახი და ექიმის კაბინეტი.

სკოლა სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის: მოეწყო ლიფტი, ადაპტირებული სანიტარიული კვანძები და პანდუსი.

მთელი ქვეყნის მასშტაბით, სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები".

**მარტვილის მერიის ინფორმაციით, ლეცავეს და თამაკონის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა სწავლა ახალ, თანამედროვე სტანდარტების მქონე სკოლის შენობაში განაახლეს.**

„სკოლის გახსნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, მერის მოადგილე გივი ელიავა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი პაატა გულორდავა და მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ლეცავეს და თამაკონის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში სკოლებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. მოეწყო საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის".



# საჩუქარი წარმატებულ მოსწავლეებს



**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მეათეკლასელები, რომლებმაც საბაზო საფეხური წარმატებით დაამთავრეს, პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ.**

მოსწავლეებს კომპიუტერები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მამუკა ჩხეტიანმა გადასცეს. წელს პერსონალური კომპიუტერი 48-მა წყალტუბოელმა მოსწავლემ მიიღო. წარჩინებულ მოსწავლეებს თვითმმართველობის პირველმა პირებმა წარმატებები უსურვეს.

# დავითაიას არქიტექტურული „პროცესი“ 90-ს უახლოვდება

**რამდენიმე თვის წინ თავისი ახალი, მრავალფეროვანი შინაარსის წიგნი მისახსოვრა – „არქიტექტურა – ოცნება და სინამდვილე“ (წიგნი მეოთხე, 2024). რედაქტორია ცნობილი პუბლიცისტი და გამომცემელი ზაურ ნაჭყებია, ვისაც კრებულისთვის მოკლე, დამაკვალიანებელი წინათქმა დაურთავს.**

მისასალმებელია, რომ ვახტანგ დავითაიამ ხსენებული ტომი გულითადი მადლიერებით მიუძღვნა ბიძინა ივანიშვილის კვალზე დამდგარ გამორჩეულ ქველმოქმედს გია ჯოხთაბერიძეს, ვინაც არაერთ მწერალსა თუ ხელოვანს დაეხმარა თავიანთი წიგნებისა და ალბომების უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემაში; ხარჯების გაწევას არასოდეს დარიდებია. ამდენად, „მაგთის“ ურყევი დევიზი: „ჩვენ ვაკეთებთ ქართულ საქმეს“ – ზედმიწევნით შეესაბამება მისი ხელმძღვანელის მამულიშვილურ ქმედებას.

მცირე, ორგვერდიან ავტორისეულ წინასიტყვაში სავსებით სწორად, ცალკეა გამოყოფილი 2015 წელს „მაგთის“ მიერვე სანიმუშოდ გამოცემული ალბომი „ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა, გრაფიკა, ფერწერა“, რომელმაც მაშინვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამერიკაში მცხოვრებ სახელმოხვეჭილ არქიტექტორს ფელიქს ნოვიკოვს ნიუ-იორკიდან აღფრთოვანებული წერილი გამოუგზავნია. მომცრო აბზაციც ცხადყოფს, რამდენად მოხიბლულა ადრესატის მეგობარი:

„ეს წიგნი შეიძლება მივიჩნიოთ ეტალონად არქიტექტურული მონოგრაფიისა, იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა წარმოაჩინოს ოსტატმა საკუთარი შემოქმედება. იგი კანონზომიერი შედეგია დიდი მხატვრის ცხოვრებისა.“

მეოთხე ტომს თავიდან ბოლომდე გასდევს და კრავს ვახტანგ დავითაიას უერთგულესი მოწაფის, ფრიად განათლებული არქიტექტორის თამაზ დოგრაშვილის თანადგომა და თანამოაზრეობა. ყველაფერში გამოსჭვივის ამაგდარი მოძღვრისადმი სიყვარული, რისთვისაც იგი საგანგებო მადლობას იმსახურებს.

თავის მრავალრიცხოვან მოწაფეთაგან, ვახტანგ დავითაიას ყველაზე ხანგრძლივი მეგობრული კავშირი ნაადრევად გარდაცვლილ უნიჭიერეს, ღრმად განსწავლულ შოთა ბოსტანაშვილთან ჰქონდა. ოცი წლის მანძილზე ერთად იმარჯვებდნენ

**ემზარ კვიტაიშვილი**



### მწერალი არქიტექტორის შესახებ

**ძალზე მსიამოვნებს და მხნეობას მმატებს ის ამბავი, რომ სამოციანელთა მძლავრი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები დღესაც მისაბაძ ნაყოფიერებასა და შემართებას იჩენენ, არავის ტოლს არ უდებენ. ერთი მათგანია ჩემი სიყრმის მეგობარი, მსოფლიოში სახელგანთქმული არქიტექტორი, მხატვარი და ჟურნალისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი,სხვათა ნიჭიერებითა და სიკეთით მუდამ გახარებული ვახტანგ დავითაია.**



# სიცინცხალითა და სევდიანობით გამორჩეული დიდოსტატი

სხვადასხვა კონკურსებში, იღებდნენ პრესტიჟულ ჯილდოებს. საგულისხმოა, რომ ვახტანგ დავითაიას უპირველესი შედევრი, მის მიერვე ლოგოდ გამოყენებული „ალგეთის ბაზილიკა“, დანარჩენ არქიტექტორებზე გაცილებით ხატოვნად და შთამბეჭდავად, სწორედ შოთა ბოსტანაშვილმა დაახასიათა, როდესაც თქვა, რომ იგი „ძეგლების განმადიდებელი ძეგლია. როგორც გალაკტიონის შედევრია „ქებათაქება ნიკორწმინდას“, ასეთივე მოვლენაა „ალგეთის ბაზილიკა“ ვახტანგ დავითაიას შემოქმედებაში.“

ვისურვებდი, მადლიერმა მაესტრომ ჩვეული ჭირისუფლობა გასწიოს და „მაგთისავე“ ფინანსური მხარდაჭერით, მონოგრაფიად გამოსცეს შოთა ბოსტანაშვილის ყველასგან მოწონებული, უხვად ილუსტრირებული სადოქტორო დისერტაცია ებრაული საფლავების სიმბოლოთა და ორნამენტთა ნაირსახეობაზე, რომელიც მან გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდი წარმატებით დაიცვა. ეს იქნებოდა კიდევ ერთი თვალსაჩინო ძეგლი, რაც ვახტანგ დავითაიას ამ ქვეყნიდან წასული მეგობრების ხსოვნის აღსანიშნავად დაუდგამს.

მოგეხსენებათ, ადამიანის, მითუმეტეს, შემოქმედის შინაგან სამყაროში ჩასაწვდომად და შესაცნობად, ინტერვიუ ძალზე გავრცელებული, მარჯვე ჟურნალისტური ფორმაა. ამ მხრივ, ვახტანგ დავითაიასთან დაკავშირებით, ყველაზე მეტად, იმავე თამაზ დოგრაშვილის ძალისხმევას უნდა ვუმადლოდეთ. მასთან საუბრისას ბევრ რამეს ეფინება ნათელი, რასაც დაკვირვებული მკითხველი უჩემოდაც დაინახავს. ასევე, ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ლირიზმით შეზავებული ინტერვიუ პოეტ მურმან ჯგუბურიასთან. განსვენებული, ქართველ მწერალთა შორის, ნაკითხობით გამოირჩეოდა (გამოწვლილვით იცოდა რუსული და ჩინურ-იაპონური პოეზია), მისგანაც ბევრ საყურადღებო სიახლეს ვიგებთ.

როცა საქმე უცოდინარის, არაპროფესიონალის ხელშია, ეს ქაოსს, არეულობას იწვევს, წინსვლა შეუძლებელი ხდება და, არქიტექტურის არმცოდნე მურმან ჯგუბურია ამის თაობაზე, მოიარებით, აზრს ეკითხება ვახტანგ დავითაიას. რესპონდენტის პასუხი პირდაპირი, მიუკიბ-მოუკიბავია:

„კარგია, რომ გულღიაობთ. პური მეპურემ უნდა გამოაცხოს – ჩვენებური ნათქვამია. ყველამ რომ თავისი საქმე აკეთოს, ანუ ის აკეთოს, რაც სხვა საქმეებზე კარგად იცის, ქვეყანა დალაგდება და ცხოვრებაც გაუმჯობესდება. პოეტმა ლექსი წეროს, ჯარს სამხედრო კაცი ხელმძღვანელობდეს, პოლიტიკას პოლიტიკოსი წარმართავდეს, ბიზნესს – ბიზნესმენი, ექიმი ექიმობდეს, არქიტექტორი არქიტექტორობდეს და ასე შემდეგ.“

პასუხის გამცემმა მშვენივრად იცის, ამ სასარგებლო შეგონებას სათავე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიც რომ ეძებნება („რაცა ვის რა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს...“), მაგრამ იგი რუსთაველს შეგნებულად არ ახსენებს, იგი ისედაც იგულისხმება.

მეორე საუკუნის ბრძენი მწერალი, პლატონისეული დიალოგის ფორმის მარჯვედ ამთვისებელი და დაუცხრომელი მოგზაური ლუკიანე სამოსელი ერთგან წერდა – მშენებლის უცოდინარობა ვერაფერს დააკლებს თავად მშენებლობას, ხოლო ფლეიტაზე ცუდად დამკვრელი მუსიკის ჰარმონიულ წყობას ჩრდილს ვერ მიაყენებსო. შეუძლებელია ასეთ გამონათქვამს უყოყმანოდ არ დაეთანხმოს ვახტანგ დავითაია; იგი, როგორც ვნახეთ, თვითონაც ამ ჭეშმარიტებას ღაღადებს.

უაღრესად ანგარიშგასაწევია და გვამახსოვრდება ვახტანგ დავითაიას ინტერვიუ თავის ძველ მეგობართან, საუკეთესო ჟურნალისტთან, „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორთან სპარტაკ ქობულიასთან. საერთოდაც, არქიტექტორის პუბლიცისტურ, პოლემიკური ჟინით აღსავსე წერილებს ყველაზე ფართო ასპარეზი მუდამ სიმართლის მხარდამჭერი ამ გაზეთის ფურცლებზე ეთმობა, რის გამოც პირუთვნელ, სიტყვის არგამტეხ რედაქტორს მუდამ ემადლიერება.

აქვე უნდა ვახსენოთ მოუწყენლად საკითხავი რუსუდან ქობულაძის, დიტო ჩუბინიძის, ნანა ფიცხელაურის, აგრეთვე, გვარ-სახელის მოუხსენიებელი კორესპონდენტის მიერ აღებული ინტერვიუები, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მთლიან სურათს ქმნიან.

ინტერვიუთა წყება, ცხადია, სასურველ ფონს ამზადებს, მაგრამ წიგნში უმთავრესი თვით ვახტანგ დავითაიას საჭირბოროტო საკითხებზე აგებული წერილებია. მას ბევრი აქვს ნაფიქრი თბილისის დაგეგმარებაზე, იმ აუტანელ სიმახინჯეებზე, რაც წლების განმავლობაში ჩვენს დედაქალაქს თავს დაატყდა. მრავალთაგან ერთ მცირე პოლემიკურ, მრისხანების მფრქვეველ წერილში – „არქიტექტურული კომპრომისების ლიმიტი ამოიწურა“ – მძაფრი, შეურიგებელი ტონი მთელი სიძლიერით გაისმის:

**„რას ვაკეთებთ ჩვენ?! რა დავმართეთ იმელს, ოთარ კალანდარიშვილის მთელს შემოქმედებას, შოთა ბოსტანაშვილის „პოეზიის სახლს“, მერაბ ბერძენიშვილისა და ოთარ კალანდარიშვილის „დიდების მემორიალს“ ქუთაისში, ვახტანგ ონიანის „ამირანს“ სიღნაღში, გულდა კალაძის**



მეზღვაურთა მემორიალი ფოთში. 1973-1979
მოქანდაკე ე. ამაშუკელი
არქიტექტორი ვ. დავითაია

**ულამაზეს ბარელიეფს „ივერიის“ ფრიზზე; ნიკოლაძისა და აბაკელიას რელიეფებს იმელის ფასადზე, უნიკალურ ისტორიულ მემკვიდრეობას მესტიაში, რიყის და სპორტის სასახლის არეალს?“**

გაუკუღმართებული, რუტინული აზროვნების გასაცამტვერებლად, გაცეცხლებული ვახტანგ დავითაია, პრესის გარდა, ტელევიზიითაც ხშირად გამოდის, მაგრამ დასახული მიზნისთვის ძნელად თუ მიუღწევია. ფულზე დახარბებული ეს გადაჯიშებულები მრისხანე სატელევიზიო გადაცემას კი არა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, ხატზე გადაცემასაც იმსახურებენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გულქვა ჩინოვნიკები, აქა-იქ ჯერ კიდევ ბოგინობენ და ყოველგვარ კეთილ საქმეს ეღობებიან, აბრკოლებენ.

ვახტანგ დავითაია, თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე, თვალს ადევნებდა არქიტექტურაში მიმდინარე ცვლილებებს, არსებით სიახლეებს და დაუყოვნებლივ აღნუსხავდა. ამის მაგალითია მეტად დროული წერილი „ფიქრები პოსტმოდერნიზმზე“, რომელსაც სხვა ღირსებებთან ერთად, შემეცნებითი ღირებულებაც აქვს. მასში მკითხველი გაეცნობა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოცემულ „არქიტექტურის ბიბლიად“ მიჩნეულ ჩარლზ ჯენკსის წიგნს „პოსტმოდერნისტული არქიტექტურის ენა“, რომლის გამო ნათქვამია, რომ იგი „იყო მნიშვნელოვანი ეტაპი პოსტმოდერნისტული არქიტექტურის, როგორც მოვლენის თვითდამკვიდრებასა და მისი ისტორიული ასპექტის ჩამოყალიბებაში.“ ვახტანგ დავითაია იმასაც გვაუწყებს, რომ მრავალ ენაზე თარგმნილი ეს ნაშრომი „დღეს ქრესტომათიულ სახელმძღვანელოდ არის ქცეული“. ამავე წერილში ნახსენებია, აგრეთვე, ზიგფრიდ გიდიონის წიგნი „სივრცე, დრო და არქიტექტურა“, რაც ქართველი მკითხველისთვის, ჯერჯერობით, მიუწვდომელია.

ესთეტიკური სიამოვნება მომგვარა წაკითხვამ მცირე და საქმიანი წერილისა „რუსთაველის გამზირის სტილური ორგანიზაცია.“ პირველივე აბზაციდან ზუსტი, შეუმცდარი, გასაზიარებელი თვალსაზრისია შემოთავაზებული, რის საწინააღმდეგოსაც ვერაფერს იტყვი:

„რუსთაველის გამზირი სხვადასხვა არქიტექტურული სტილის უნიკალური ექსპოზიციაა. განსხვავებულთა თანაარსებობა და რევერანსის ბრწყინვალე მაგალითია. მისი განსაკუთრებულობა განსხვავებულთა თავსებადობა და თანაარსებობაა. აქ ყველა დრომ, ყველა არქიტექტორმა თავისი მხატვრული ხედვა დააფიქსირა, რამაც მოგვცა ის შედეგი, რითაც ჩვენ ვამაყობთ.“

**თავშივე ნათქვამმა მტკიცე საფუძველი შეუმზადა წერილის ავტორს, ოდნავ ქვემოთ ეჭვმიუტანლად დაესკვნა: „რუსთაველის გამზირის შენობათა უმეტესობას არ ახასიათებს სტილური პურიზმი, სტილური სისუფთავე, ამიტომაც მათი მიკუთვნება რომელიმე ერთი არქიტექტურული სტილისადმი არ იქნება სწორი.“**

ამის შემდგომ, ვახტანგ დავითაია ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება ათას ოთხასი მეტრის სიგრძის ჩვენს სათაყვანებელ, საკვირველი მიმზიდველობის გამზირს „თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მოედნამდე“ და თითოეულ გამორჩეულ ნაგებობას სხარტად, მოქნილად წარმოგვიდგენს. მას აქაც არაფერი ეშლება. საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გამზირს „გოთური სტილი“ აკლდა და ახლა ესეც შევსებულია. გულისხმობს სამადლობელ წინასიტყვაში მოხსენიებული, მხატვრობის უსაზღვროდ თაყვანისმცემელი და დამფასებელი გია ჯოხთაბერიძის ქველმოქმედებით წამომართულ „უნიკალურ ხელოვნების სასახლეს.“ მერე აღფრთოვანებული წერს: „თანამედროვე ხელოვნების გალერეა „ახალი გოთიკის“ უაღრესად საყურადღებო მაგალითია, ახალი ინტონაცია არა მხოლოდ გამზირის ანსამბლში, არამედ, საერთოდ, ქართულ არქიტექტურაში. დახვეწილია ფრაგმენტები, დეტალები, შენობა ზეიმურია.“ გახარებულს არ უნელდება სურვილი, კვლავ დალოცოს გია ჯოხთაბერიძე – „დიდი მეცენატების საქმის ღირსეული გამგრძელებელი.“

თითოეული გამორჩეული შენობის მომჭირნე, ოსტატურად მიგნებულ დახასიათებას ვერ მოვიხმობ. ერთ მათგანს კი, გულში ჩარჩენილი მიზეზის გამო, არ შემიძლია გვერდი ავუარო და მართალიც ვიქნები:

**„რუსთაველის თეატრი – მძლავრი კორინთული პილიესტრებით, როკოკოს სტილისადმი ხაზგასმულ სიმპათიებს ამჟღავნებს.“**

მახსენდება – სწორედ რუსთაველის თეატრის წინ, მარჯვენა მხარეს, გაოგნებული იდგა უდახვეწილესი არქიტექტორი, შესაშური გემოვნების მქონე ბუცა ჯორბენაძე და კლაკნილად მოჩუქურთმებულ ფასადს მონუსხული მიჩერებოდა; მზერა ზევით-ზევით მიუდიოდა. სრულიად შემთხვევით შევესწარი ხელოვანად დაბადებულის, შემოქმედებითი ექსტაზის იშვიათ წუთებს. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ეს რუსთაველზე მისი უკანასკნელი გამოსვლა იქნებოდა. ერთი კვირის მერე, ამ კაცის გარდაცვალების ამბავი შევიტყვე. შევკრთი, სინანულისგან გული მომეწვა.

ყველამ იცის – იგი იყო შემქმნელი ცაში ოცნებასავით ატყორცნილი უმშვენიერესი „რიტუალების სასახლისა“, რომლის კედლებსაც დიდი ზურაბ ნიჟარაძის გენიალური ფრესკები ამკობდა. გაგონილი მაქვს, ქაოსის, ავადმოსაგონარი არეულობის წლებში როგორ შეილანძღა და გაოხრდა იქაურობა, – როგორც ბევრი რამ, ბედს მოკლებულ, ღვთისმშობლის იმედად დარჩენილ საქართველოში.

**ვახტანგ დავითაიას, მსგავსად ყველა საღად მოაზროვნე მამულიშვილი ინტელიგენტისა, არაფრით არ სურს, რომ თბილისელთა თავმოსაწონებელი შუაგული ტვინგამოლაყებული ბრბოს, ანუ „მიტინგების გამზირად“ გადაიქცეს, სადაც შხამიანი პროვოკატორები ბობოქრობენ და ქაქანებენ, უკეთურთაგან დაქირავებული ვაი-მწერლები იჭაჭებიან, დემაგოგიურ ლოზუნგებს ყრანტალებენ, რათა საქართველო საბოლოოდ დაღუპონ, გამანადგურებელი ომის ქარცეცხლში გადაჩეხონ.**

ვახტანგ დავითაიას მის თანამედროვე თითქმის ყველა დიდ ქართველ ხელოვანთან ჰქონდა ახლო მეგობრობა. სამ მათგანზე **(მერაბ ბერძენიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, რობერტ სტურუა)** მაინც უნდა ითქვას ცოტა რამ. ეს ურთიერთობანი, მეტწილად, მის სადა და სანდო დღიურებშია ასახული. ბევრ ისეთ რამეს წერს მათზე, სხვამ რომ არავინ იცის და თითოეულის ხასიათს, ბუნებას ნათლად წარმოაჩენს. სამომავლოდ, ამ უტყუარ ცნობებს ოქროს ფასი დაედება, უთუოდ გამოადგებათ მკვლევარებს. საგულდაგულოდ არის მოთხრობილი უკვე მოძრაობაშეზღუდული მერაბ ბერძენიშვილის მწარე გულისტკენებით აღსავსე ბოლო ხუთი, „დიდი იმედგაცრუების წლები.“ თუ რატომაა ის წლები ასეთად მიჩნეული, სათაური მიგვახვედრებს: „მერაბი ჩემს დღიურებში და დავით აღმაშენებლის თავგადასავალი.“

მერაბ ბერძენიშვილის სწორუპოვარ ქმნილებებს ნაცების სამარცხვინო, დამნაშავე ხელისუფლებამ, სადისტი სააკაშვილის მეთაურობით, რა უბედურება არ დააწია, მაგრამ იგი ძველებურად გაუტეხელი დარჩა და გაღიმებული იხსენებდა სხვადასხვა სალაღობო შემთხვევებს.

დღიურში დაწვრილებითაა აღწერილი, რა ჭაპანწყვეტა გადახდათ ვახტანგ დავითაიასა და ჩვენს უბერებელ, გამორჩეულ ინჟინერმშენებელს, ყველას დამხმარე მეცენატს, აკადემიკოს თამაზ შილაკაძეს, რათა დავითის განდევნილი ძეგლი დიღმის აგრიალებული ტრასიდან დაებრუნებინათ. რომელ ინსტანციაში არ იარეს, ვის არ მიადგნენ (ადგილი შერჩეული და აზომილი ჰქონდათ აზარიანცის შენობის განაპირა კედელთან). თბილისის მერი დავით ნარმანია მოწადინებული იყო, მათ დახმარებოდა, მაგრამ ეტყობა, მისმა მონდომებამ არ იკმარა, რათა ჩვენი უდიდესი მონარქი მის მიერ სარკინოზებისგან დახსნილი დედაქალაქის შუაგულში დაბრუნებულიყო. რომელიღაც მოქანდაკეს კიდევაც უხუმრია – ნარმანიას ყოველდღე თითო სანტიმეტრით რომ გადმოეწია დავითი, ახლა ქალაქში იქნებოდაო.

ბევრ რამეზე ხელჩაქნეულ, სარეცელზე მიჯაჭვულ დევკაცს, მერაბ ბერძენიშვილს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, უთქვამს, ისე როგორ მოვკვდე, დავითი ტრასაზე დავტოვოო.

უკვდავებაში გადასული ღვთაებრივი ნიჭის ხელოვანის ახალგათხრილ საფლავთან ვახტანგ დავითაიას ფიცი აქვს დადებული, რომ მის სანუკვარ ოცნებას აღასრულებს. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ასედაც იქნება.



აფხაზეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი სოხუმში. 1971
არქიტექტორები ვ. დავითაია შ. ბოსტანაშვილი ო. ნახუცრიშვილი

**ბევრ რამეზე ხელჩაქნეულ, სარეცელზე მიჯაჭვულ დევკაცს, მერაბ ბერძენიშვილს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, უთქვამს, ისე როგორ მოვკვდე, დავითი ტრასაზე დავტოვოო.**
**უკვდავებაში გადასული ღვთაებრივი ნიჭის ხელოვანის ახალგათხრილ საფლავთან ვახტანგ დავითაიას ფიცი აქვს დადებული, რომ მის სანუკვარ ოცნებას აღასრულებს. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, ასედაც იქნება.**



მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია



კულტურის სასახლე ფოთში. 1977
არქიტექტორები ვ. დავითაია შ. ბოსტანაშვილი

რა დასამალია და ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე – ეს ჩანაწერები ლიბრეტოდაც გამოდგებოდა, საუცხოო გროტესკული ფილმი რომ გადაღებულიყო, რათა რეჟისორს ეჩვენებინა კაფკასეული აბსურდული პერიპეტიები, გაუთავებელი დაპირებები და იმედგაცრუება, რაც დავით აღმაშენებლის დანავსული ძეგლის თავის ადგილზე დაბრუნებას დაუკავშირდებოდა. უთუოდ მსოფლიო რეზონანსის ტრაგიკომედია გამოვიდოდა, თუმცა, ამ ჩანაფიქრის სრულყოფილად განხორციელებას ოთარ იოსელიანის, ანდა ახალგაზრდა ელდარ შენგელაიას ფანტაზია და დაუშრეტელი ნიჭი დასჭირდებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

## ირაკლი გოგავა:

# გაგანია ომში გვეპატიჟებიან ფიჩხად რუსეთის წინააღმდეგ დანთებულ კოცონში — სულელი აქ არავინ არის!

მეოთხე გვერდიდან

ახლა გაეჭედათ უკრაინის ფრონტზე საქმე და ყველაფერზე წავლენ, რომ იქნებ მეორე ფრონტის გახსნით რუსეთს აქეთ გადმოასროლინონ თავისი ძალების ნაწილი. მათი გადმოსახედიდან შესაძლოა სწორი გათვლაა, მაგრამ აბა, ჩვენ გვკითხეთ ერთი! ახლა ისმის მუქარები: დახმარებას შეგიწყვეტავთ, ევროკავშირში არ მიგიღებთ, სანქციებს შემოვიღებთ, თქვენს ექსპორტს აღარ მივიღებთ, სვიფტიდან გაგთიშავთ, კრედიტებს აღარ მოგცემთ, ევროპაში უვიზოს გაგიუქმებთ. მოდით, გავყვეთ ახლა ამ მუქარებს.

***– რაც შეეხება უცხოურ დახმარებას, რა შემოდის?***

**– დახმარება რაც შემოდის, იმის მხოლოდ 5-10% ხმარდება ქვეყნისთვის სახეირო საქმეს, დანარჩენი „დახმარება" საკუთარი მეხუთე კოლონის დაფინანსებაზე მიდის და ეს პროცესი სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას ძირს უთხრის, რადგან ძირითადად ნეოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდას, შობადობის შემცირების ღონისძიებებს და უცხოური პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების ლობირებას ხმარდება. რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის პროგრამები წამოიწყეს და თბილისის ცენტრში შენობა აღარ დატოვეს, სადაც უშნო წარწერა არ გაკეთებულიყო.**

ეს, ცხადია, ხელოვნური პროცესია, მაგრამ გააუშნოეს შენობები, ქალაქი რას დაამსგავსეს?! გიგაური, ჯანიბაშვილი, ხიდაშელის და სხვა აგენტურის დაფინანსება მე რატომ ჩავითვალო დახმარებაში?! ეს „დახმარებები" თუ შეწყდება, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, რადგან მოგვეცემა შანსი, ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოება განავითაროთ ქართული ფულით. ახლა სამოქალაქო სექტორი მონოპოლიზებულია და 600-მდე ასო-ს მეშვეობით ემსახურება უცხოეთის ინტერესებს.

***– პირდაპირი ტექსტით გვემუქრებიან, რომ ევროკავშირში არ მიგიღებთ...***

– ვნახე კვლევა, სადაც ქართველებს ეკითხებიან: ხარ თუ არა მომხრე ევროკავშირში გაწევრიანდე, თუ ეს გულისხმობს ლგბტ დღის წესრიგის აუცილებლად მიღებას? მხოლოდ 12% პასუხობს „დიახ". ის წარმოდგენა, რომ ხალხს სადღაც შესვლა ნებისმიერ ფასად სურს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამის გარეშეც, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ ან გვაქვს წარმოების პოტენციალი, ევროკავშირში ამ პროდუქტების ჭარბწარმოებაა: ღვინო, ციტრუსი, ხილი, ბოსტნეული... წელს ბორდოს პროვინციაში 40,000 ჰექტარ ვაზს გაჩეხავენ მთავრობის დაფინანსებით. ერთი ჰექტარის გაჩეხვაში მთავრობა 6000 ევროს იხდის. რუმინეთს და ბულგარეთს რომ ვუყურებ, ნამდვილად არ აქვთ სახარბიელოდ საქმე – ორივე ქვეყანაში სიღარიბე ჩვენზე მეტია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, რუმინეთში და ბულგარეთში მოსახლეობის 22% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, საქართველოში კი – 15%.

ორ წელიწადში ამ ორ ქვეყანას ეკონომიკური მაჩვენებლებით გადავუსწრებთ, რადგან ევროკავშირში რეცესია დაიწყო და იქ რეცესიის დაბალანსებას დასავლეთ ევროპა ახალი წევრების, ანუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე შეეცდება. რა მოლოდინიც გვქონდა ევროპისგან, რომ გაგვიხსნიდნენ წვდომას მეცნიერულ მიღწევებზე, ტექნოლოგიებზე, იაფ კრედიტებზე და ევროპულ ბაზარზე – არ გამართლდა. 2023 წელს ევროპამ 3,6 მილიარდის საქონელი მოგვყიდა, ხოლო ჩვენ ევროპაში მხოლოდ 700 მილიონის პროდუქცია გავიტანეთ. ხუთმაგი განსხვავებაა ვაჭრობაში – ეს საოცრად არასამართლიანია.

ახლა სწავლას რაც შეეხება: ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობს ევროპაში. ბევრს აფინანსებენ კიდეც, მხოლოდ ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, რადგან უცხოელებს მიაჩნია, რომ ჩვენ არ გვჭირდება ფუნდამენტური სპეციალობების ხალხი: ინჟინრები, ექიმები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ჰიდროლოგები, გეოლოგები და ასე შემდეგ, ეს მომსახურება ჩვენ მათგან უნდა ვიყიდოთ. ზოგადად, უცხოელი სტუდენტების დაფინანსება რბილი ძალის გამოყენების ცნობილი ტექნოლოგიაა. თუ უცხოელს შენთან ასწავლი, ბევრს შენი ქვეყნის მიმართ სიმპათიები უჩნდება.

**ჯერ არ შემხვედრია უცხოეთში განათლებამიღებული, რომლის ერუდიცია და ინტელექტი რაიმეთი აღემატებოდეს 80-იან ან თუნდაც 90-იან წლებში თსუ-ს წარმატებულ კურსდამთავრებულს. უნდა გვესმოდეს, რომ ევროკავშირში წევრობა გულისხმობს, რომ ბრიუსელი განაგებს საქართველოს საბაჟო პოლიტიკას, აწესებს კონკურენციის წესებს ბაზარზე, სავაჭრო შეთანხმებებს დებს შენს ნაცვლად, მთლიანად აკონტროლებს თევზჭერის დარგს, კოორდინაციას უწევს მიგრაციის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, დასაქმების, სამართლებლივ, ჯანდაცვის და კიდევ მრავალი სფეროს პოლიტიკას.**

**ფაქტობრივად, სუვერენიტეტის დიდ ნაწილს გადასცემ ბრიუსელს, ანუ ფონ დერ ლაიენი გადაგვიწყვეტს, როგორ უნდა ვიცხოვროთ და შარლ მიშელი, ბორელთან ერთად. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უმჯობესია შევინარჩუნოთ სუბიექტურობა და ყველა ვექტორით ვიმუშაოთ – ასე გაცილებით მეტს მივაღწევთ. დღევანდელ ევროკავშირში წევრობა არ მგონია, რომ მომგებიანი იყოს რომელიმე კუთხით, მით უფრო, რომ ამას ახლავს ნეოლიბერალური სიგიჟეების მიღების ვალდებულება – ეს თეორიულადაც გამორიცხავს ჩვენს ინტერესს ამ ორგანიზაციის მიმართ. იმედია, ამ დასკვნამდე მმართველი ძალაც მალე მივა, რომელიც „ღირსებით ევროპისკენ" მიდის.**

ესაუბრა

**თამთა ქარჩავა**

**(დასასრული მორიგ ნომერში).**




# რატომ მისკდება გული?!




# „მხოლოდ ევროპისკენ"!

**რატომ „მხოლოდ ევროპისკენ"?!** ან ჩვენ რა დავაშავეთ, ანდა აზია-აფრიკა-ამერიკის ქვეყნებმა?! ალბათ, ასე გაიფიქრებს ნებისმიერი ნორმალური ადამიანი, არადა, რამდენიმე დღის წინ ზუსტად ამ სიტყვებით ომახიანად დაასრულა თავისი გამოსვლა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა (იმავდროულად – ვიცე-პრემიერმა!), ბატონმა **ირაკლი ჩიქოვანმა** ქალაქ ზუგდიდში „ქართული ოცნების" ლიდერების შეხვედრაზე რაიონის მოსახლეობასთან.

ამ სიტყვებმა ჩიქოვანის სხვა ორი სიტყვაც გამახსენა, თავდაცვის მინისტრად დანიშვნისას წარმოთქმული: „ნატოში ინტეგრაცია, სრული(!) ინტეგრაცია არის ჩვენი მიზანი, რომელიც გაწერილია კონსტიტუციით"!

10-15 წლის წინათ რომ ეთქვა ეს ან, თუნდაც, 3 წლის წინ, დიდად არ გამიკვირდებოდა, მაგრამ ამას ამბობს იგი 2024 წლის დასაწყისში, როდესაც უკვე ორი წელია უსასტიკესი ომი მიმდინარეობს უკრაინაში, როდესაც სწორედ ნატოსკენ ლტოლვისთვის რუსეთმა მოძმე უკრაინაც კი არ დაინდო! მაშინდელი ჩემი კომენტარი ასეთი იყო: „სრულ ჭკუაზე ვერ უნდა იყო კაცი, მით უფრო სახელმწიფო მოღვაწე, რომ ამ ყველაფრის შემხედვარე, რამაც დაღუპა ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო, მაინც ნატოსკენ მიისწრაფვოდე და მის სამიტებში იღებდე მონაწილეობას (ვილნიუსში თუ ბრიუსელში) ამ ორგანიზაციაში გაწევრების დაჩქარების მიზნით"!

ზოგჯერ ერთ სიტყვას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს, ასეა ახლაც, **„სრული"** ინტეგრაცია და **„მხოლოდ"** ევროპისკენ, – ამის კლასიკური მაგალითებია. დაუჯერებელია, რომ ამგვარ კატეგორიულ განცხადებებს პარტიის ლიდერებთან შეუთანხმებლად აკეთებდეს ძალოვანი სტრუქტურის – თავდაცვის(!) მინისტრი, თუმცა, არც ესაა გამორიცხული **ნატოს თავდაცვის კოლეჯდამთავრებულისგან** (რომი, იტალია, 2005 წელს). და, თუკი, ეს მმართველი პარტიის კურსიცაა, მაშინ რა უნდა იყოს ამ „ბრძნული" განცხადებების მიზანი? დიპლომატიური ვირეშმაკობა – „შორსმჭვრეტელობა" და სხვისი შეცდომაში შეყვანა, თუ, მართლაც, გულწრფელი, მაგრამ დანაშაულებრივი(!) ლტოლვა – მხოლოდ ევროპისკენ და ნატოში სრული ინტეგრაციისკენ?

განვიხილოთ ორივე ვარიანტი, როგორც ნატოს, ისე ევროკავშირის მიმართებით. ხშირად გაიგონებთ: დღეს ასეა საჭირო ლაპარაკი, აბა, ცივ უარს ხომ არ ვსტკიცავთ ნატოს, ანუ ამერიკასო. რა თქმა უნდა, კარის გამოჯახუნება დიპლომატიაში ცუდ ტონად ითვლება, N1 სახელმწიფოსთან კი ყოვლად გაუმართლებელია, მაგრამ მორიდებულ დიპლომატიურ ენაზე იმის ახსნა მაინც ხომ შეიძლება, რომ უკრაინის შემხედვარე (გნებავთ, რუსეთის შემხედვარე) დროებით თავს შევიკავებთ ნატოსკენ სწრაფვის საჯაროდ(!) გამოხატვისგან და ნატოს სამიტებში მონაწილეობისგანაც, რადგანაც რუსეთმა მოძმე უკრაინელი ხალხი არ დაინდო და ჩვენ, კავკასიელებს იგივე „დანაშაულისთვის" ხომ ნამდვილად არ გადაგვისვამს თავზე ხელს–თქო. ნატო (ამერიკა) ჩვენ თავშეკავებაზე ვერ გვისაყვედურებს და ვერც დაგვაიმედებს: ნუ გეშინიათ, გარანტიას გაძლევთ – რუსეთი უპატრონოდ ხმას ვერ გაგცემთო! ამიტომ აბსოლუტურად გაუმართლებელია რუსეთის შეგნებულად გაღიზიანება – იმის აქტიურად ხაზგასმა, რომ ნატოში სრული ინტეგრაცია არის ჩვენი მიზანი, რომ ამის შესახებ კონსტიტუციაში გვიწერია. არავინ აპირებს ნატოში ჩვენ მიღებას (ჩვენ კი არა, უკრაინას არ იღებენ!), ხოლო ფუჭი, არაფრის მომცემი განცხადებები კი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში გვიშლის ხელს. ასე, რომ ნატოში ჩვენი გაწევრება – ეს არის უტოპია და, ამიტომ ჩვენივე დამაზიანებელი განცხადებების კეთებას უნდა შევეშვათ, სანამ გვიან არ არის! ვითომდაც, დიპლომატიური ვირეშმაკობა, ანუ ყასიდად თქმულს – „არ მიღებ, მაგრამ მე მაინც შენი ვარ", დასავლეთი არ „ჭამს" (ნუ გვგონია, რომ ჩვენ სხვებზე ჭკვიანები ვართ!), რუსეთი კი, ბუნებრივია, პოტენციურ მტრად აღგვიქვამს.

ახლა, რაც შეეხება ევროკავშირს, „მხოლოდ" მისკენ ლტოლვას, თანაც, „ღირსებით"! აბსოლუტურად გაუგებარია, ჯერ ვინ გვღებულობს და, მეორე, – რომელი ღირსებით ვაპირებთ შესვლას, რომელიც აღარც კი მახსოვს როდის გვქონდა, ანუ როდის გამო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ცამდე მართალი

საქართველოს რესპუბლიკა

# ლაშაობიდან ლაშაობამდე

**„2002 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ლაშა გახარიას პოეზიის საღამო გაიმართა. იდგა „უწიგნო“ პოეტი და, როგორც მისი შემოქმედების ერთმა თაყვანისმცემელმა თქვა: „ბავშვური გულწრფელობით“ კითხულობდა თავის „ნასტუდენტარ“ თუ მერმინდელ ლექსებს _ გულჯიბით ნატარებსა და სტამბისთვის მლივს გამეტებულს.**

**_ ვინ არის ლაშა გახარია?..**

**პასუხად ესეც დაიწერა:**

**„ვინ არის და, საოცრად მგრძნობიარე კაცი, ბრწყინვალე ჟურნალისტი, მაგრამ, უწინარესად პოეტი, დიახ, პოეტი და, იცით, როგორი? სულს რომ აგიფორიაქებს და დიდხანს ჩაგაფიქრებს... თავად მისთვის კი „პოეტი მაინც... ერთი ლექსია _ ობლის ცრემლივით ცამდე მართალი!“**

ეს წინათქმა ლაშა გახარიას პირველი წიგნიდანაა, რომლის გამოცემის თაოსანიცა და ლაშას შემოქმედების ერთ-ერთი თაყვანისმცემელიც ლაშას სიყრმის მეგობარი **ვალერი ასათიანი** გახლავთ. სწორედ ბატონი ვალერი იყო ის პირველთაგანი, რომელმაც იმ საღამოზე ბრძანა და პირობაც დადო – დროა, ლაშა გახარიას პოეტური კრებული გამოიცეს, დრო კი არა, დაგვიანებულიცააო და ასე იშვა უნივერსიტეტელი მეგობრების თანადგომითა და პოეტ ლია ნაროუშვილის რედაქტორობით პირველი წიგნი **„მუზის პაუზა“.**

იმ ბედნიერი დღიდან 22 წელი გავიდა...

ლაშა გახარია, როგორც ჟურნალისტი, ერთ-ერთ გამორჩენილ პოეტად იქცა უერთგულესი მეუღლის, ქალბატონი როზა ბერიკაშვილისა და ახლა უამრავი მისი პოეზიის თაყვანისმცემლების წყალობით. „იქცა“, რადგან სწორედ მათ შეკრიბეს „სტამბისთვის ძლივს გამეტებული“ ლექსები, შეკრიბეს მეგობრებისთვის მიძღვნილი და ნაჩუქარი, უბრალოდ, ფურცლის ნახევზე დაწერილი შედევრები, საგულდაგულოდ, საწერი მაგიდის უჯრაში გადანახული, ბევრისთვის უცნობი სტრიქონები და მოვარდა ლაშა გახარია, როგორც გრიგალი ქართულ პოეზიაში, მოვარდა ლადო ასათიანის სულიერ მემკვიდრედ, ააფორიაქა, მილეწმოლეწა „საშუალო“ პოეზია, ბევრს ადგილიც აღარ დაუტოვა, თითქმის სახალხო პოეტად იქცა და ყოველ შემოდგომაზე „ლაშაობად“ დარჩა ლაკადა სამეგრელოს ულამაზეს მუხურში.

მას შემდეგ ათობით წიგნი გამოიცა ლაშას მეგრულ-ქართული ლექსებისა, დაუწერელ კანონად იქცა მისი შემოქმედების უიშვიათეს ანთოლოგიებში დავანება, თაობები იზრდებიან მის ლექსებზე, სიმღერებად, სულის ამაფორიაქებელ ჰანგებადაც აქციეს მისი ლექსები მუსიკოსშემსრულებლებმა.

როდესაც მადლიანი შემოდგომა გამრჯე გლეხკაცის მონაგარს მიითვლის, როდესაც პირველი მაჭარი ღვინოდ იქცევა და საქორწინო–სანათლო მირონად ჩამოისხმება თასებში, როდესაც პოეტის უსაყვარლესი ბროწეულები ტკარცალით გაგიღიმებენ მეგრული ეზოებიდან, ჭირნახულით დაიზნიქება ტაბლები, გაივსება ოჩოფეხებზე შემდგარი ნალიები და მადლი მოისხამს სოფელ-გარემოს, „ლაშაობაც“იზეიმება ჩხოროწყუს ულამაზეს „ერთ კალათა სოფელში“.



„ლაშაობის“ სტუმარ-მასპინძლები პოეტის ოდაბადეში

✦ ✦ ✦

**რამდენიმე** დღის წინათ ყველაზე განსაკუთრებულად იზეიმეს პოეტის დღე.

„არ გვეგონა, თუ გადაიდარებდა, ცა ჩამოიქცა, ისე წვიმდაო“... ღიმილი და მზე შემოგვაგებეს მუხურელებმა. მათთვის სტუმარი ღვთის საჩუქარია, როგორც ლაშა იტყოდა, **„ძაღლიან აცეკვებული ოჯახი – მოყვრის სტუმრობით“,** ისეთი დახვედრა იციან. ტრადიცია არც ახლა ირღვევა და ლაშა გახარიას სახელობის მუხურის საჯარო სკოლასთან გველოდებიან. სოფელში შესვლისთანავე ჩადგა ქარი და რამდენიმე საათის წინ გადაღებული წვიმისგან ატალახებული ეზო-მინდორიც მოაშრო ოქტომბრის მზემ. წესისამებრ ეზოში გაშლილი „შემოდგომის ნობათი“ სკოლის დერეფანში მოუწყვიათ წვიმისგან შეშინებულებს. ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილი ახალგაზრდები გვეპატიჟებიან სკოლის შენობაში. მუდამ მომღიმარი **როდერ ჩილდავა,** სკოლის დირექტორი, ჩვენი ძველი მასპინძელი, კოლხური ზრდილობითა და სიყვარულით გვეხვევა და დღესასწაულის დასალოცად ღვინით სავსე ფიალებს გვაწვდის.

აქედან ლაშას სახლ-მუზეუმს უნდა ვესტუმროთ. სათვალავი გვერევა, უკვე მერამდენე „ლაშაობას“ ვესწრებით, არადა, თითქმის არცერთი არ გაგვიცდენია, უკვე შინაურები ვართ, ზეპირად ვიცით ეზო-კარის ყველა კუთხე-კუნჭული. წესისამებრ, იმ ოდაში ავდივართ, სადაც ლაშა გახარია დაიბადა, სახლი, რომელშიც სამი დიდებული პოეტი ცხოვრობდა, სახლი, სადაც ლაშა გახარიას ლექსები იწერებოდა... სახლი, რომელიც რაიონის ხელმძღვანელთა მონდინებით, რამდენიმე მეტრით წინ გადმოწიეს და პოეტის სახლ-მუზეუმად აქციეს. პოეტის ძმა ელგუჯა გახარია მეუღლესთან ერთად გვეგებება, აქვე არიან თანასოფლელებიც, პატარა დეკლამატორები, მოცეკვავეები, ნათესავები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან, ლაშას ბავშვობის მეგობრები, უკვე თმაშევერცხლილები შვილიშვილებთან ერთად. ყველა შინაური, ყველა შენიანი, ყველა პოეზიის სიყვარულითა და კაცობით გამორჩეული.

მეორე დღეს ჩხოროწყუობაა – რაიონის ტრადიციული დღესასწაული, მაგრამ ადგილობრივი ხელმძღვანელობა როგორც ყოველთვის, პოეტის დღეს მიაგებს საკადრის პატივს და ისინიც აქვე გველიან. ბატონი ვალერი ასათიანის თანადგომით, ადგილობრივთა ხელშეწყობით და ჩხოროწყუელთა სურვილით ჩვენმა გამოჩენილმა მოქანდაკემ **გოგა შხვაცაბაიამ** პოეტის ბიუსტი გამოაქანდაკა და რაიონს უსახსოვრა. სწორედ ამიტომაცაა დღევანდელი 11 ოქტომბერი გამორჩეული. **რაიონის ცენტრალურ პარკში პოეტ ლაშა გახარიას ბიუსტი გაიხსნება...** ესაა ხალხის სიყვარული და დაფასება, ესაა პოეტის ნიჭის აღიარება.

✦ ✦ ✦

**ლაშას** პოეზიის უბადლო წამკითხველებს, ადგილობრივ დეკლამატორებს რიგრიგობით ცვლიან სტუმრები. უკვე ყველასთვის ნაცნობი და მოსაფერებელი ხალხი... **ედემ კვირტია, გური ოტობაია, კოტე ნაჭყებია, ლაშა გვასალია, ლია ნაროუშვილი, ზაურ ნაჭყებია, მარინა თექთუმანიძე, გუჯა ბერიშვილი, შოთა წურწუმია.** განსაკუთრებული პატივისცემით ელიან ლაშას თანაკურსელებს, სიყრმიდანვე თანშეზრდილ ძმებს, ახლა უკვე საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ასე ერთად კარგა ხანია, არ ყოფილან პოეტის ოდაბადეში – **აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, ენათმეცნიერი, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, მწერალი, პუბლიცისტი თამაზ ხმალაძე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქოზულია.** ეს ის „ბიჭები“ არიან, რომლებმაც სტუდქალაქის დროიდან დღემდე ერთმანეთის ძმობა, პატივისცემა და შესანატრი მეგობრობა არ დაკარგეს. სამოცდაათს გადაცილებული ძმადნაფიცები, ცრემლითა და გაბზარული ხმით იგონებენ იმ წლებს, როდესაც სტუდენტობისას ერთად სტუმრობდნენ ნორმიდან ამოვარდნილი ტალანტის ოჯახს მუხურში, იგონებენ იმ დიდებულ მასპინძლებს, რომლებსაც ლაშა გახარიას მშობლები ერქვათ, იგონებენ ერთი დღით ჩამოსულებს, როგორ შემოადნებოდათ ხელში ერთი კვირა ბუხრისპირს გაშლილ სუფრასთან კაპიტონ გახარიასა და მისი ვაჟის ლაშა გახარიას ლექსთა კაფიაობაში...



მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია და პოეტის მეუღლე როზა ბერიკაშვილი ლაშას ბიუსტთან

სწორედ მათ ხვდათ პატივი, ლაშას ოჯახის წევრებთან ერთად საბურველი მოეხსნათ პოეტის ბიუსტისთვის. ახლა ჩხოროწყუში ჩასულ მეგობრებს ლაშას ქანდაკებასთან მიახლოება და პატივგება მოუწევთ, პოეტი და სიყრმის ძმადნაფიცი დაულოცავს გზას მშობლიური ოდაბადისკენ, რომელიც ყველასთვის გამორჩეულ ადგილად იქცა.

ლაშაობიდან ლაშაობამდე მასპინძლები სიურპრიზებს არ გვაკლებენ: ჩხოროწყუს მერი, ბატონი დავით გოგუა, რომელიც ყველა „ლაშაობაზე“ დადებულ პირობას პირნათლად ასრულებს, მართლაც ბედნიერად თვლის თავს. საკრებულოს ახალგაზრდა თავმჯდომარე შოთა წურწუმია ყურადღებას არ აკლებს პოეტის სახლ-კარსა და სახელს. მუხურის საშუალო სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი **ირმა თოდუა** კვლავ ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით ეწევა პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციას. თავად მოსწავლე გახლდათ, ლაშას ლექსებით რომ გვატკბობდა სტუმრებს, ახლა კი თავის პატარა აღსაზრდელებს უნერგავს პოეტის სიყვარულს.

მომავალ „ლაშაობამდე“, მეგობრებო.

**მამუკა ვაშაკიძე.**

**თბილისი-მუხური-ჩხოროწყუ-თბილისი.**



პოეტის ბიუსტმა ჩხოროწყუს ცენტრალურ სკვერში დაიდო ბინა.



## პოეტი

ხან მარტვილია,
ხანაც – მესია;
თან წერტილია,
თანაც – ანთარი!

პოეტი მაინც...
ერთი ლექსია –
ობლის ცრემლივით
ცამდე მართალი.

ვისთვის ღვინო და
ვისთვის – წყალია;
ქარია მისი
ქრონიკონი.

პოეტი ზოგჯერ...
ერთი ჰწკარია –
ყაყაჩოსავით
ცხელი სტრიქონი.

## ირაკლი კობახიძე:
# ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია...



**ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც შუა დერეფნის ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებით, დააკავშირებს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის წყლის ინფრასტრუქტურის პროექტირება – მშენებლობის დაწყების ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

„რამდენიმე დღის წინ, სამთავრობო პროგრამის წარდგენისას, ჩვენ ანაკლიის პორტში პირველი გემის მიღების თარიღად 2029 წელი დავასახელეთ. თუმცა ვფიქრობ, რომ სამუშაოები უფრო მაღალი ტემპით წარიმართება. უკვე გვყავს პროფესიონალი კონტრაქტორი კომპანია. სამუშაოები ინტენსიურად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, რომ დაგეგმილზე უფრო სწრაფადაც შევძლებთ ახალი ინფრასტრუქტურის ამოქმედებას და პორტის ოპერირების დაწყებას.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ქვეყნის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, ისე მთლიანად შუა დერეფნის ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებით, დააკავშირებს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო სისტემებს. ანაკლიის პორტი ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, გაზრდის საქართველოს რეგიონულ და საერთაშორისო მნიშვნელობას, განამტკიცებს ჩვენს უსაფრთხოებას.

ყველა თვალსაზრისით, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ პროექტის განხორციელებას. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართულია ამ პროექტის განხორციელებაში. განსაკუთრებული მადლობა პირველ ვიცე-პრემიერს, რომელიც წარმართავს შესაბამის პროცესებს, მადლობა ჩვენს პარტნიორ კომპანიას და კომპანიის წარმომადგენელ იან დე ნულს, მადლობა კომპანიის თითოეულ წარმომადგენელს, ინჟინრებს, მშენებლებს, ყველა ადამიანს, რომელიც ჩართულია ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტის განხორციელებაში“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# „მხოლოდ ევროპისკენ“!

მერვე გვერდიდან

ვამჟღავნეთ, როდის დავანახვეთ იგი ვინმეს. ამერიკამ და ევროპამ დიდი ხანია გათელეს ჩვენი თავმოყვარეობა და ღირსება, ნელ–ნელა შეგვაჩვიეს უსიტყვო, მონურ მორჩილებას და ესეც არ იკმარეს – კადრების, პარლამენტარების, მინისტრების, პრეზიდენტ–პრემიერების თავის ჭკუაზე შერჩევასთან ერთად, არ გვაკლებენ არც შეურაცხყოფას, თავლაფის დასხმას, მუქარას, სანქციებს, საჯაროდ, მსოფლიოს თვალში დამცირებას (**ბაიდენის** მიერ გამართულ ვახშამზე მიწვეული ჩვენი პრემიერისთვის „ცხვირწინ კარის მიხურვა“), პირდაპირ და უხეშად ერევიან არჩევნებში და სასამართლო საქმეებში, ნებისმიერ სფეროში, აფინანსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ანუ მეხუთე კოლონას, გვიწყობენ საპროტესტო მიტინგებს და, ივიწყებენ რა საერთაშორისო კანონებს, თავადაც მონაწილეობენ მასში, აწარმოებენ არნახულ ზეწოლას, რათა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაგვაბან, თითის ქნევაზე და მაგიდაზე მუშტის დარტყმაზე(!) რომ არაფერი ვთქვათ და ა.შ., ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია!

**არავინ აპირებს ნატოში ჩვენ მიღებას (ჩვენ კი არა უკრაინას არ იღებენ!), ხოლო ფუჭი, არაფრის მომცემი განცხადებები კი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაში გვიშლის ხელს. ასე რომ, ნატოში ჩვენი გაწევრება — ეს არის უტოპია და, ამიტომ ჩვენივე დამაზიანებელი განცხადებების კეთებას უნდა შევეშვათ, სანამ გვიან არ არის!**

როგორ შეიძლება იმ ევროპაში, ანუ ევროკავშირში მიგიწევდეს გული, რომელიც ჩვენგან მოითხოვს, ფაქტობრივად, შეუძლებელს, შეუსრულებელს – ხელი შევუწყოთ მამათმავლობის პროპაგანდას, სქესის შეცვლას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, მცირე ასაკის ბავშვების „გენდერულ განათლებას“, გეიაღლუმებს, უცხოეთიდან დაფინანსებულ და უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებელ არასამთავრობოებს, უარი ვთქვათ ჩვენს ტრადიციებზე, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე და, თან გვაფრთხილებს – ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ევროკავშირში მიღებაზე არც იფიქროთო! ჩვენ კი ჯიქურ ვაწვებით რქებით და **რაღაც არარეალური, მითიური გადატვირთვა მოვიგონეთ,** რომლის შემდეგაც ევროკავშირთან და ამერიკასთანაც, თითქოსდა, ყველაფერი დალაგდება. „რა გადატვირთვა, რი გადატვირთვა“, ვინ გვეკითხება ჩვენ რამეს! იქნებ, ამერიკა-ევროპაში იმ ძალების, იმ ახალი, ღვთისნიერი მილიარდერების მოსვლას უნდა დაველოდოთ, რომლებიც კეთილი თვალით გადმოგვხედავენ, ჩვენს საშინაო საქმეებში აღარ ჩაერევიან და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ?! დავხუჭოთ თვალები, დავიცოთ ყურები, დავიხშოთ გონება და... **მხოლოდ ნატოს და მხოლოდ ევროპას მივაჩერდეთ კიდევ 30 წელი?!**

ვინაიდან ევროკავშირის მოთხოვნებს (ხან 12 და ხანაც 9 პუნქტად ჩამოყალიბებულს) შესრულება დღევანდელ საქართველოში არ უწერია და, მაშასადამე, – ევროკავშირში ჩვენ მიღებასაც, **აბსოლუტურად აუხსნელია და გულისამრევიც, როცა, აგერ უკვე მესამე ათწლეულია ისევ „ნატო-ნატო“ და „ევროპა-ევროპა“ გვესმის, რომლებსაც თითო-თითო დამაზუსტებელი და „გამაძლიერებელი“ სიტყვა დაუმატა თავდაცვის მინისტრმა: ნატოში სრული ინტეგრაცია და მხოლოდ ევროპისკენ!**

საკუთარი უმწეობისგან, ხელისუფლების უუნარობისგან, ამდენი გაბრიყვებული ხალხის ყოველდღიური ყურებისგან ლამის გასკდეს გული!



**იაკობ ლეჟავა**
20 ოქტომბერი,
2024

## ◎ უზნეონი

# საკუთარ ბოლმაში...

**სამამულო არჩევნებამდე და აგენტურის ჩაქვესკნელებამდე სამიოდე დღით ადრე კუთხეში მიყენებულმა გლობალურმა ომის პარტიამ უკანასკნელად ამოიხავლა და მორიგ სამიზნედ სამთავრობო კლიპის პერსონაჟი საამაყო ქართველი სპორტსმენები შეარჩია.**



ვინაიდან აქამდე რადიკალთა ბულინგის ადრესატები ქართული ოცნების საპარლამენტო სიის წევრი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და მათმა უშედეგო კბენა-ღრენამ კბილები თვით ფუჭი წკავწკავის ავტორებს მოუცვითა, ამჯერად რისხვა ეროვნული საფეხბურთო ნაკრების იმ მოთამაშეებმა დაიმსახურეს, ვინც გიორგი ცაბაძისა და მურმან ლებანიძის უკვდავი ნააზრევის შედეგად შთაგონებულ გენიალურ ქმნილებაში არიან წარმოდგენილნი **ოთარ კაკაბაძის, გიორგი გველესიანის, ოთარ კიტეიშვილისა** და **ლუკა ლოჩოშვილის** სახით, თანაც ამ უკანასკნელზე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური შტურმი განხორციელდა, მაგალითად, თვით ისეთი კრისტალურად სუფთა წარსულით მადლმოსილი ნაცპერსონისაგან, როგორიც ნანუკა ჟორჟოლიანი ბრძანდება. რაღა ეშველება საწყალ ობიექტს?!

სხვათა შორის, წინა დღეს ფართოდ რეკლამირებულ-დაანონსებულ ოპოევრომარშზე სულგაყიდულ ფსევდოდასავლელთა სრული ლუსტრაცია მოხდა და რამდენიმე ათასეულ შეკრებილს შორის ისეთი მძიმეწონოსანი ცნობადი ელემენტები ყელყელაობდნენ, პაატა ბურჭულაძე, ნინო ქათამაძე, ნიკა მემანიშვილი (სირცხვილით რაჭველად როგორ მოვიხსენიებ) და, არც მეტი, არც ნაკლები, აჩიკო გულედანი გახლავან (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ტელეიმედის ჟურნალისტს აყროლებული საინფორმაციო ღრუდან გადმოღვრილი სიბინძურით გაექცა), მაგრამ მათ მიმართ არავითარი აგრესია არ გამოვლენილა. რას ვიზამთ – არ გათეთრდების ყორანიო, ტყუილად როდია ნათქვამი.

დიახ, ცოტაც კიდევ მოვითმინოთ და კეისარს კეისრისა მივუზღოთ.

**გია პლატონიშვილი**

## ◎ ტატამზე




**უხვი ნადავლით აღნიშნეს ქართველმა კუდოისტებმა ერევანში გამართული საერთაშორისო ტურნირი ევრაზიის თასზე, რომელიც სხვადასხვა ასაკსა და კატეგორიაში გათამაშდა. საქართველოდან ტატამიზე 14 სპორტსმენი გავიდა, საიდანაც 12-მა მედლის მოპოვება შეძლო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებში 2 გოგო:ნა ასპარეზობდა და ორივე პრიზიორი გახდა. სულ ქართველ კუდოისტთა ანგარიშზე 3 ოქროს, 6 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს ჯილდოა.**

ტურნირის გამარჯვებულნი **გიორგი ჟვანია, ლუკა აჩბა** და **საბა მარკელია გახდნენ,** ვერცხლის მედლები **ვასილ დვალაძემ, თორნიკე კურტანიძემ, მარიამ ნანავამ, ანჟელა მომცელიძემ, დიტო გერაიამ** და **გიორგი ძაგნავამ მოიხვეჭეს,** ხოლო ბრინჯაოს **ლევან დარასელია, გიორგი ხარატიშვილი** და **ანდრია ზუხბაია** დაეუფლნენ.

## ◎ რინგზე

# შესანიშნავი სამეული

**სოფიამ 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა საქართველოს გაერთიანებული ნაკრების 12 მოკრივის მონაწილეობით (მთავარი მწვრთნელი – ბეჟან ჯიჯინავა, ქალთა გუნდის თავკაცი – გაგა თოდუა).**

ყველა სინჯის თითო მედალი – ასეთია უმცროს ჯვაროსანთა ბულგარული მონაგარი: **ოქრო – გორ აივაზიანი** (57). **ვერცხლი – თათია ბუკია** (81). **ბრინჯაო – გიორგი გუცაევი** (86).

**ვულოცავთ!**

## არდავიწყება

# ქეთევან ნემსაძე

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პედიატრი, ქართული პედიატრიის წამყვანი მეცნიერი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან ნემსაძე.**

ქ. ნემსაძე დაიბადა 1949 წელს ქ. ქუთაისში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა პედიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა ჰემატოლოგიურ განყოფილებაში ექიმ ორდინატორად, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრაზე ასისტენტად, მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის გენერალურ დირექტორად, მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური კლინიკის დირექტორად, 2014 წლიდან კი გლობალმედის პედიატრიული კლინიკის ხელმძღვანელად მუშაობდა.

1982 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „უჯრედული და ჰუმორული იმუნიტეტის მდგომარეობა ახალშობილთა სტაფილოკოკური სეფსისის დროს“, ხოლო 1993 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ახალშობილი და ჩვილი ასაკის სეფსისით შეპყრობილ ბავშვთა საცნაურ-საყოფი კრიტერიუმები და მკურნალობის ინტენსიფიკაცია“.

2009 წელს ქ-ნი ქეთევანი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი იყო 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 30-ზე მეტი სახელმძღვანელოს ავტორი და რედაქტორი.

უდიდესია ქ-ნი ქეთევანის წვლილი ქართული პედიატრიის განვითარებაში. ის იყო „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ავტორი. მისი ინიციატივით დაიწყო საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროგრამები ბავშვთა ასაკის დიარეული და რესპირაციული დაავადებების დიაგნოსტიკის და მართვის შესახებ, „ბავშვთა ასაკის დაავადებათა ინტეგრირებული მართვა“ (IçჩI). მისი ძალისხმევით დაიგეგმა ქვეყანაში „ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფოების“ შერჩევის პრაქტიკა, ახალშობილთა რეანიმაციის პროგრამის განხორციელება, ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ւ€IჩRფ-ის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს ცენტრალური ევროპის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნებში.

ქეთევან ნემსაძე იყო „მსოფლიო სამიტი ბავშვებისათვის“ საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, საქართველოს პედიატრ-



თა აკადემიის პრეზიდენტი, ძუძუთა კვების აკადემიის (აშშ) საპატიო წევრი და სხვ.

ქალბატონ ქეთევანს მიღებული აქვს ჯილდო „ესკულაპი“ წლის საუკეთესო ექიმი, წარმატების სერტიფიკატი ტექნიკური კორპორაციის პროგრამებში მონაწილეობისათვის. დაჯილდოებული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო სიგელებით. მიღებული აქვს ჯილდო „ოქროს ფონენდოსკოპი“.

ქეთევან ნემსაძე იყო გამორჩეული ადამიანური თვისებების, კეთილშობილური ბუნების მქონე ღირსეული პიროვნება. ძნელია, შეეგუო ასეთი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას, მაგრამ სანუგეშოდ რჩება ის, რომ უკეთილშობილესი და მაღალპროფესიონალი ექიმის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და მადლიერი პაციენტების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## სულთათანა

# პეტრე (მურთაზ) უბერი



**გარდაიცვალა საქართველოს მედიკოსთა დინასტიის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი პეტრე (უმცროსი) უბერი.**

პეტრე (მურთაზ) პეტრეს ძე უბერი – ზუგდიდის საპატიო მოქალაქე, სამედიცინოს სფეროს უბადლო პროფესიონალი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსეული და გამორჩეული პიროვნება, სამაგალითო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული, მისაბაძი მეოჯახე, მეგობარი, ვინც მას იცნობდა, პირველივე შეხვედრიდან დასამახსოვრებელი სავიზიტო მომართვით – „მამა“ – წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი, უამრავი მოსაგონარი, გაცემული სიკეთე, რწმენით გაჯერებული რჩევა-დარიგება, უანგაროდ გაცემული პროფესიული გამოცდილება, იმედიანი და მოტივირებული პაციენტები მისი კაბინეტიდან, უამრავი გადარჩენილი სიცოცხლე, ერთგულებით და ნდობით, ღირსებით გატარებული ცხოვრება – ასე გავიხსენებთ ბატონ პეტრეს ქალაქელები, კოლეგები, მეგობრები, ოჯახი...

ის დააკლდება ერს, ქალაქს, სადაც ბოლო ამოსუნთქვამდე ღირსებით ემსახურა პროფესიას, ადამიანებს, ვისაც ტკივილს და გასაჭირს უამებდა, ჯანს მატებდა და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერს ტოვებდა. თავისი წინაპრების დანატოვარ გზას სახელოვნად უვლიდა, ესათუთებოდა, ინახავდა, ამაყად დაიარებოდა ზუგდიდის ქუჩებში, განსაკუთრებით კი მამის სახელობის – პეტრე უბერის ქუჩაზე.

მისი ცხოვრების სამაგალითო ისტორია წიგნად დაიწერებოდა, იმდენად შთამბეჭდავი და უშრეტია მოგონებები.

მისი ღირსების მატარებელი ოჯახი, მისი გამორჩეულად წარმატებული მონაგარი, შეძენილი ოჯახის წევრები არასოდეს ჩააქრობენ ბატონი პეტრეს აგიზგიზებულ კერას.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

**ოჯახი, მეგობრები**

---

უახლოესი მეგობრები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსეული და გამორჩეული პიროვნება, გულითადი მეგობარი და მისაბაძი მეოჯახე

# პეტრე (მურთაზ) უბერი

კაცი, რომელიც წარმოადგენდა საქართველოს მედიკოსთა, უბერთა დინასტიის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს. იგი გახლდათ დიდი და უბრალო ადამიანი, წესიერებისა და პატიოსნების სიმბოლო, ახალგაზრდა მედიკოსთა დამკვალიანებელი და მისაბაძი საპატიო ზუგდიდელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ჯემალ კვირტია, კახა არდია, ვახტანგ ცხადაია, ზურაბ აბშილავა, ვახტანგ ჭითანავა, ნუგზარ კიტია, ზურაბ ჩიქავა, ნუგზარ სულავა.**




## მკვლელობა ისანში

**ისანში შუა ხნის მამაკაცი მოკლეს. სამართალდამცველებმა სავარაუდო დამნაშავე მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## 26 წლის ტატოს მკვლელობის შესახებ

**თბილისში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი.**

არსებული ინფორმაციით, 26 წლის ტატო ფირცხალაიშვილის მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა, რასაც მალევე ორმხრივი სროლა მოჰყვა.

თვითმხილველები ამბობენ, რომ მომხდარი შურისძიებას უკავშირდება. სავარაუდოა, რომ



თავდამსხმელი მამაკაცს მანქანიდან უთვალთვალებდა.

„ყვირილისა და ჩხუბის ხმა იყო. ჯერ სცემეს ერთმანეთი, რამდენიმე წუთის შემდეგ გასროლის ხმა გაისმა, დაახლოებით 4-ჯერ. შემდეგ ეგრევე მიიმალა, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა ის ბიჭი. შურისძიების ნიადაგზე გააკეთა მსგავსი რაღაც“, – ამბობს თვითმხილველი.

შემთხვევის ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები გვიანობამდე მიმდინარეობდა.

## ქრთამის აღების გამო — 20 წლით თავისუფლების აღკვეთა

**პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალეჰანდრო ტოლედო ბრაზილიური სამშენებლო გიგანტის Odebrecht-გან დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დამნაშავედ ცნეს და 20 წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**

პროკურატურის მტკიცებით, პერუს ყოფილმა პრეზიდენტმა ბრაზილიური გიგანტისგან 35 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი აიღო და სანაცვლოდ კომპანიას ნება დართო აეშენებინა გზა, რომელიც ქვეყნის სამხრეთ სანაპიროს დასავლეთ ბრაზილიაში მდებარე ამაზონის რეგიონს დააკავშირებს.

78 წლის ტოლედო, რომელიც განათლებით ეკონომისტია, პერუს 2001-2006 წლებში მართავდა.

## ჯაშუშობა ირანის სასარგებლოდ

**ისრაელის შვიდი მოქალაქე ირანის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს.**

პროკურორების თქმით, ბრალდებულებმა თეირანისთვის ასობით დავალება შეასრულეს. დაკავებულებს ედავებიან ისრაელის თავდაცვის ძალების ბაზებისა და ობიექტების ფოტოგადაღებასა და ინფორმაციის შეგროვებას.

პროკურორების ცნობით, პოლიციამ და გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ბრალდებულებმა სხვადასხვა დავალება შეასრულეს ირანის დაზვერვის სააგენტოებისთვის და



კონტაქტში იყვნენ ირანელ აგენტებთან, რის სანაცვლოდაც ასობით ათასი დოლარი მიიღეს.

პროკურორების ინფორმაციით, ზოგიერთი ბრალდებული ირანის სასარგებლოდ ორი წლის განმავლობაში ჯაშუშობდა, ხოლო ყველა მათგანი ომის დაწყების შემდეგ ახორციელებდა სადაზვერვო საქმიანობას.

როგორც მედია წერს, ეჭვმიტანილები არიან ჰაიფასა და ჩრდილოეთში მცხოვრებლები, მათ შორის ჯარიდან გაქცეული ჯარისკაცი და ორი არასრულწლოვანი. სახელმწიფო პროკურატურა აცხადებს, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საქმე ბოლო წლების განმავლობაში.

## რუსეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

21 ოქტომბერს მოსკოვის ოლქში ფედერალურმა უსაფრთხოების სამსახურმა იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვასა და უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დააკავა.

„დადგენილია, რომ უცხოელი საკუთარ სახლში ინახავდა მცირე კალიბრის შაშხანას „TOZ-8“, სანადირო თოფს „IZH-27“, 300-მდე ტყვიას, RGD-5 ხელყუმბარას და 500 გრამამდე დენთს“. – წერია ФСБ-ს მიერ გავრცელებულ ანგარიშში.

დაკავებულს აღმოაჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურის და ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პასპორტის ყალბი დოკუმენტები.

საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ საქმე იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით აღიძრა.

# უნიკალური ბაღი ზღვის უბანში

**ზღვისუბანში საქალაქო მნიშვნელობის პარკი გაიხსნა. ღონისძიება ჯგუფმა „მიქსტურამ“ გახსნა და მსმენელს ცნობილი და ყველასთვის საყვარელი კომპოზიციები შესთავაზა.**

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ და ადგილობრივ მოსახლეობას საქალაქო მნიშვნელობის პარკის გახსნა მიულოცა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, მერის მოადგილე ანდრია ბასილაია, ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ანდღულაძე, ასევე საქართველოს პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრები.

მსგავსი მასშტაბის პარკი, რომელიც 25 ჰექტარზე გაშენდა, საქართველოს დამოუკიდებლობის მანძილზე თბილისში არ მოწყობილა.

პარკი, შეიძლება ითქვას, დაჭაობებულ ნაგავსაყრელზე მოეწყო, რისთვისაც თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა მნიშვნელოვანი და მასშტაბური სამუშაოები შეასრულა: პარკის მშენებლობამდე ჩატარდა წინასაპროექტო კვლევები, რომელიც გეოდეზიურ კვლევასაც მოიცავდა; 250 000 კუბამდე დაჭაობებული გრუნტი შეიცვალა ბალასტით; მოეწყო სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელები, სარწყავი, განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, მინი ფეხბურთის სტადიონი, სამეურნეო და დაცვის შენობები, კაფე, მედიათეკა, კალათბურთის მოედანი, ბელვედერი, ფანჩატურები, ძაღლების მოედანი, სკეიტ პარკი; ასევე მოეწყო ორი ტბა და მათი დამაკავშირებელი მდინარე, საფეხმავლო და სამანქანე გზები, პარკინგი, კოლექტორი და სატუმბი სადგურები; ორი საფეხმავლო ხიდი, რომლებიც პარკის მიმდებარე სხვადასხვა მიკრორაიონებს ერთმანეთთან აკავშირებს. გარდა ამისა, ორ ნაწილად გაყოფილი ტერიტორია დაკავშირებულია საფეხმავლო გვირაბითაც.

ტერიტორიაზე ჩატარდა გამწვანებისათვის საჭირო ღონისძიებები და დაირგო 75 000 ძირი სხვადასხვა სახეობის მცენარე.

სამუშაოების ღირებულება 39 280 534.68 ლარს შეადგენს.



# 80 მილიონი ლარი ვანის წყალმომარაგებისთვის!

**საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის 80 მლნ ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა.**

ხელშეკრულების მიხედვით, ქალაქ ვანში წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, აშენდება ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქში არსებულ სანიაღვრე სისტემებსაც. შესაბამის დოკუმენტს ხელი ქ. ვანის მერიაში მოეწერა.

წყალმომარაგების მიმართულებით დაგეგმილია 42კმ წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ორი ჭაბურღილის მშენებლობა და არსებული რეზერვუარის რეაბილიტაცია, ასევე, აშენდება სატუმბი სადგური და მოეწყობა SCADA-ს სისტემა.

წყალარინების პროექტის ფარგლებში კი დაგეგმილია 47კმ ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე, ერთი დიდი და 15 პატარა სატუმბი სადგურისა და სანიაღვრე არხის მოწყობა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

წყალმომარაგების სამუშაოების შედეგად, ქალაქ ვანის მოსახლეობა, 2025 წლის ბოლოდან 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები წყალარინების ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით 2026 წლიდან ისარგებლებენ.

გარდა ამისა, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, წყალმომარაგების კომპანია ქალაქ ვანში წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას გეგმავს. ამ დროისთვის აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაცია მზადდება. ტენდერის გამოცხადება 2024 წლის მე-4 კვარტალშია დაგეგმილი.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7207; ევრო - 2.9509;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5421;**
**100 რუბლი - 2.8314; თურქული ლირა - 0.0795;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6000;**
**1000 სომხური დრამი - 7.0268.**




# ქვევრის ღვინის ყლუპში „იუნესკოს“ ელფერიცაა ჩაქსოვილი!

## Euronews: საქართველოსთვის სტუმარ-მასპინძლობა სიყვარულით გაჯერებული შრომაა

**2024 წლის 27 სექტემბერს საქართველომ მსოფლიო ტურიზმის დღის ღონისძიებას პირველად უმასპინძლა.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გლობალური მნიშვნელობის ღონისძიების ფარგლებში, საქართველო გავლენიანი ევროპული მაუწყებლობის, „ჩურონიუს“-ის ობიექტივში მოექცა.

საქართველოს ეწვივნენ სხვადასხვა საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები, როგორებიც არიან: „Forbes“, „Bloomberg“, „Euronewს“, „Conde nast traveler“. ჟურნალისტები ღონისძიების გაშუქების პარალელურად, საქართველოს ტურისტულ პოტენციალსაც გაეცნენ. „Euronews“-ის ჟურნალისტი **ლოტი ლიმბი** საქართველოში მიღებულ უახლეს გამოცდილებას უზიარებს მკითხველს.

ავტორი აღფრთოვანებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ნანახი ოქროს ნაკეთობების გენიალურობით, იგი ხაზს უსვამს არქიტექტურისა და კულტურის ერთ ჭერქვეშ შერწყმას. ჟურნალისტი განსაკუთრებულ გამართლებად მიიჩნევს საქართველოში სექტემბრის მიწურულში ჩამოსვლას, რადგან მისი აზრით, ამ პერიოდში ქვეყნის ეროვნული ღირსება მეტად მკაფიოდ იკვეთება.

ჟურნალისტი არ იშურებს რჩევების სერიას საქართველოს მომავალი სტუმრებისთვის და შესაბამისად, სტატიაც მრავალმხრივი რეკომენდაციებითაა დატვირთული.

„Euronews“-ის ჟურნალისტი განსაკუთრებულად გამოხატავს, საქართველოში, როგორც ღვინის სამშობლოში, ჩამოსვლით განცდილ სიამაყეს. იშველიებს კახეთის ტურის ფარგლებში გიდისგან გაგონილ სიტყვებს: **„თუ კაცი კარგ ღვინოს ამზადებს, ესე იგი, კარგი კაცია, რადგან ცუდი კაცი კარგ ღვინოს ვერ გამოიყვანს, ქვევრში ღვინის დამზადების მეთოდი „იუნესკომ“ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარა, შესაბამისად, ქვევრის ღვინის ყლუპში „იუნესკოს“ ელფერიცაა ჩაქსოვილი“.**

სტუმარი ალავერდის მონასტრის, თელავისა და წინანდლის დიდებულებას არ ტოვებს უყურადღებოდ. ასევე, ასახელებს კონკრეტულ ადგილებსა და მეღვინეობებს, სადაც ღირს ქართული ღვინის დაგემოვნება.

ავტორის აზრით, საქართველოში კერძებზე აზრის გაელვება ავტომატურად აცოცხლებს მრავალფეროვან არჩევანსა და ფართო გასაქანს. **„საქართველოს სამზარეულო აღმატებულად სახასიათოა, ხაჭაპური „უნამუსოდ“ გემრიელი, აჯაფსანდალი, შეიძლება ითქვას, რომ გემოებით გამდიდრებული მოთუშული ბოსტნეულის კერძი, ხოლო ხინკალი კი ხორცით გატენილი გულსართიანი კერძი“,** – აღწერს ჟურნალისტი.

სტატიის მიწურულს ლოტი ლიმბი აცხადებს, რომ საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტის დასრულება და კვლავ დაბრუნების სურვილის გაღვივება ერთმანეთს მიება. ჟურნალისტს უკვე აქვს წარმოდგენილი, თუ რით დაკავდება საქართველოში მომდევნო ვიზიტის ფარგლებში.

# ქართული სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი

**იუსტიციის სამინისტროს კიდევ ერთი ინოვაციური პროექტი დასრულებულია – რატი ბრეგაძემ ქართული სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი სისტემაში სტაჟირების სამთავრობო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ ახალგაზრდებთან ერთად გახსნა.**

სამართლის ჰოლოგრამული მუზეუმი ქართული ინოვაციაა, რასაც ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს – ის პირველია, რომელიც დამთვალიერებელს ქართული სამართლის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას აცნობს; ამას გარდა, ექსპოზიცია ჰოლოგრამული, ციფრული ფორმატის გამოსახულებებით არის წარმოდგენილი, რაც, აგრეთვე, სიახლეს წარმოადგენს.

მუზეუმში ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი ქართული სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები; ისტორიული ფიგურები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ამ საქმეში; უძველესი სამართლის ძეგლები, საგანმანათლებლო კერები, ყველაფერი ის, რაც წარმოაჩენს ქვეყნის სამართლებრივი კულტურის უნიკალურ ბუნებას.

მუზეუმი დამთვალიერებლებს მდიდარ და მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდის, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ.



საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 25 ოქტომბერს**